



La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
A O U T
1930—N° 56

სეპტემბერი
1930 წ.
№ 56

დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა დ ე მ ი ტ ი კ ე უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო დ გ ა ნ დ.

შ ი ნ ა ა ტ ს ი:

- მეთაური—მონური შრომა საბჭოთა კავშირში.
- ვიკ. ნახაძე—საქართველო გეოპოლიტიკისათვის.
- ლი—ს. —საქართველო ციფრებით.
- კ. ვადაჭალაძე—ინგლისი და დომინიონები.
- ი. —ჩინგიზ-ყაენი.

- მ. მ.—ფედერალური სახელმწიფო.
- რას სწერენ ბოლშევიკებზე.
- საქართველოს ამბები.
- საბჭოთა რუსეთში.
- უკრაინელთა შორის. და სხვ.

მონაწილე შრომა საბჭოთა კავშირში

კიდევ ერთი საშიშროება კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის! აქამდისინ. და დღესაც არა ნაკლებ, ბოლშევიკური პროპაგანდა გამოჰქონდათ და გამოაქვთ, როგორც უდიდესი საშიშროება, მაგრამ ამ უკანასკნელათ იგი თითქო მეორე ადგილს იჭერს კაპიტალისტურ პრესაში, უფრო დამხმარე, ვინემ დამოუკიდებელ, როლს თამაშობს.

მართლაც, რამდენადაც ევროპა-ამერიკის, და არა აზიის, ქვეყნები გვეყავს მსხვედველობაში, ბოლშევიკური საშიშროება არავის სჯერა. ცხვრება იმდენათ დალაგდა და დამოშმინდა პირველში, რომ სოციალური რევოლუცია, ან უკეთ—ბოლშევიკური სამოქალაქო ომი, ბარიკადები და გასაბჭოება გამოირცხულია დიდის ხნით. მუშათა შეუგნებელი ფენებიც ერკვევიან მოსკოვის ფანდებში—პირველ ავვისტოს საყოველთაო ჩაფლავებაც ამის აშკარა მაჩვენებელია—და კომუნისტური პარტიებიც სისსლისგან იცლებიან, რჩებიან მხოლოდ გარიყული მყვირალა დემაგოგები და მათი აპარატები, ყველა კომინტერნის ხარჯზე.

მაგრამ მით უფრო დიდის ხმაურობით და აღვირწახსნილათ უტყვეს სწორეთ ამ პროპაგანდას ამერიკა, ის ამერიკა, სადაც კომუნისტები ყველაზე სუსტნი არიან, სადაც კაპიტალისტურ ბატონობას თვით მუშათა ფედერაცია არ ებრძვის! დაარსდა კონგრესის მიერ სპეციალური კომისია, რომელიც იძიებს კომუნისტურ დამრღვევ მუშაობის სიგრძე-სიგანეს და თხზავს წომებს მის აღმოსაფხვრელათ, რაიცა კანონპროექტების სახით უნდა წარედგინოს იმავე კონგრესს.

რაშია საქმე? ამერიკა არ სცნობს მოსკოვს და არც აპირებს ცნობას, მაგრამ ეს არ უშლის, შედა-

რებით, დიდი ალებ მიცემობა ჰქონდეს მასთან. როგორც იტყვიან, ფულს სუნი არა სდის, თუ გინდ ხალხის ათკეცი ტყავის გაძრობით შემოდიოდეს. რას დაგიდევს იანკი, როგორ და რა საშუალებით შოულობს მოსკოვი ფულს, ოღონდ მან გაასაღოს რაც შეიძლება მეტი საქონელი, რაც შეიძლება ვაჭმურ ფასებში!

და ეს ასე იქნებოდა და გაგრძელდებოდა კიდევ, ერთი ახალი მომენტი რომ არ შეჭრილიყოს ამ ტუბილმწარე ურთიერთობაში. საიდან გააჩინოს მოსკოვმა ფული, თუ ამერიკულ მანქანების მაგიერ თავის წედლ საქონელს არ გაიტანს? და ეს თითქო ნორმალურათ ხდებოდა აქნობამდის. მოსკოვს შეჰქონდა ამერიკაში ტყე, შავი ქვა, ტყავულობა და სხ.; გაიჩინა ნიუ-იორკში თავისი ამტორგი მრავალი აგენტებით; გააჩადა ფინანსური ოპერაციები ბანკებთან, რომლის შემწეობით ასალებდა თავისას და ყიდულობდა ამერიკის საქონელს. მაგრამ ის საქონელი, რომელიც მოსკოვს შეაქვს, ამერიკაშიც მზადდება, თუმცა არასაკმარისი რაოდენობა. ეს გარემოება კი ჰქმნის მეტოქეობას მოსკოვსა და ამერიკის განსახლვრულ მრეწველთა შორის. ეს მეტოქეობა არაა საშიში, სანამ ორივე მხარე თანამედროვე ვაჭრულ ნიადაგზედ სდგანან, სანამ ვასავალ-შემოსავალი და წმინდა მოგება ჩვეულებრივ ნორმას არ გასცილებია. ჩვეულებრივ პირობებში ამერიკის მრეწველნი, პირიქით, უფრო ძლიერნი იყვნენ, რადგან მარტო ფრახტის ხარჯები, სხვა რომ არა ვსთქვათ, მძიმედ აწევბოდა მოსკოვის საქონელს და აძვირებდა მას.

და მიუხედავათ ამისა, მოსკოვი უფრო იფათყიდის თავის საქონელს, ვინემ ამერიკელი! ან სხვა სიტყვით, ამერიკის ბაზარზედ ის უფრო ძლიერია,

ვინემ ამერიკელი! გამოდის. სტალინი მართალი იყო. როცა ამბობდა, საბჭოები ვაუსწრებენ ევროპა-ამერიკას, სძლევენ მას ეკონომიურ ასპარეზზედო.

სადაა ამ საიდუმლოების სათავე, მკითხველმა კარგათ უწყის. სტალინი და მისი აპარატი დაეპატრონენ მსოფლიოს «მეექვსედს», მის ქონებასა და სულს, ტვინსა და მკლავს, მთელი ხალხი მათთვის ღვრის ოფის და სასყიდლათ გამხმარ ბურის ყუას იღებს ან. მასაც არ იღებს, მშვიგრობს, იხოცება, იბიჭება... სტალინი და მისი აპარატი არ დაგიდევნ სალემბიციემო კანონებს. ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებას, ჰყიდინა იაფათ, რეალურ ღირებულების დაბლა და... ამერიკელებს აკოტრებენ! ან კი რას აგებენ? თვითონ რა დახარჯეს, რომ მისი ამოღებაზე იზრუნონ?!

ამერიკელებმა მორთეს ყვირილი: მოსკოვი მონურ შრომას სარგებლობს და ახდენს «დამპინგ»-ს (საქონლის მის ღირებულების დაბლა გაყიდვა) ჩვენს ბაზარზედ, ჩვენი ტყის-ქალაღის, შავი-ქვის მრეწველობა იღუბება, ჰკათ მავათო! «ემბარგო, ემბარგო» —გაკვივიან ისინი, აღკრძალეთ მოსკოვის საქონელის შემოტანა, აღკვეთეთ შემოტანა, არ გადმოატვირთვინათ გემებიდან! ფინანსთა დეპარტამენტმა, რომლის მეთაური მელონი თვითონ მილიარდელია, უსმინა ამ კიჟინას და დაადო ემბარგო...

მაგრამ აქ ატყდენ გემების მეპატრონენი, უმეტესათ ინგლისელი, მანქანების მრეწველნი და ფინანსისტები, ვინც მილიონებს იხსრალებდენ ჯიბეში მოსკოვთან აღებ-მიცემობით. და... მელონი შედრკა, ემბარგო ასხნა და დააწესა კომისია მოსკოვთან ვაჭრობის ხასიათის გამოსარკვევათ.

რა უნდა გამოარკვიოს? მართლა მონური შრომით მზადდება თუ არა საბჭოთა კავშირიდან შემოტანილი საქონელიო. ასე ხდება ყოველთვის: როცა ამერიკელს მახოლზედ ფეხს დააჭერო, ის მორალს იმარჯვებს! ამერიკაში, ინგლისშიც, მართლა არსებობს კანონი, რომლის ძალით მონური შრომით დამზადებულ საქონელის შემოტანა აღკრძალულია. მაგრამ სად იყვენ აქაღის, რატომ ეხლა ვაანსედათ ეს კანონი? ინგლისელი არმატორები ხომ დღესაც თვალს იბრმავენენ, როცა მათი გემები პოლიტიკურ ტყვეთა შრომით იტვირთება არხანგელსკში და სხვაგან!

მაშასადამე, გადამწყვეტია არა მორალი და ცივილიზაცია, არამედ ინტერესი, ანგარება და კიდევ უარესი. მერმე, როგორ უნდა გამოარკვიოს კომისიამ კითხვა? განა მას მიუშვებენ აღვილზედ სასაქეტო? განა ბოლშევიკები არ დაუმტკიცებენ—და ამტორების მეთაური ბოგდანოვი კიდევ ამტკიცებს—, რომ ისინი ცრუობენ, «სოციალისტურ სამშობლოში» არ არსებობს მონობა და სხ. და სხ.?

აიღეთ ჰიათურის შავი-ქვა, რომლითაც «დამპინგს» აკეთებს მოსკოვი ამერიკაში, განა მასაც მონური შრომით იღებენ, რეცხენ, ზხვნიან? არა, რათქმა უნდა, გარეგნულათ ყველაფერი თავის რიგზეა: მუშა, ხელფასი, სინდიკატი, კონტრაქტი... განა მუშა თავისუფალი არ არის? წავიდეს, ვინ აკავებს!—იტყვის მოსკოვი.

პირიქით! მუშა ძრწის და კანკალებს, ადგილი არ დაჰკარგოს, არ დაითხოვონ და შიმშილით არ ამოწყდეს ცოლ-შვილით. ამიტომ იძრობს ის ტყავს, წილებზე ფეხს იბიჯებს, ოფის სისხლითა ლებავს, რომ აღა—გეპეუ—არ გააჯავროს და სოლოვკაში არ უკრან თავი.

მონობა მოსაგონია იმასთან შედარებით, რაც საბჭოთა კავშირში ხდება? ეს იციან ამერიკელებმაც და ევროპელებმაც, და იგონებენ მხოლოდ მაშინ, როცა მათი ინტერესებიც იჩავრება ამით. მაგრამ კიდევ უარესი, ჩვენი შავი ქვა ხომ არც რუსებს ეკუთვნის და არც მათ ბატონებს! მისი პატრონი ქართველი ერი სტუმარია თავის სახლში, წაართვის ყველაფერი, დააბებს და მისი ქონებისა და შრომის ნაცოფით ახალ ბორკილებს უჭედენ მასვე. განა ამაზე უარესი მონობა შეიძლება? სადაა მორალი, სამართლიანობა, ვინ ფიქრობს ამაზე?

ჩვენ არ შეგვიძლია არ გაუსვათ აქვე ხაზი. თუ რა დიდი მოვალეობა გვაწევს კისერზედ. არასდროს არ დაგვდგომია ისეთი მოხდენილი მომენტი ამერიკაში, როგორც დღეს! იქ ეხლა ჩვენი მუშაობა უნდა დღუდეს და გადადგოდეს...

ანტიკომუნისტურ მოძრაობის გაძლიერებას ამერიკაში, ამ რიგათ, სარჩულად მოსკოვის «დამპინგი» უდევს, რაიცა მიუღებელია არა მარტო მრეწველისთვის, არამედ მუშისთვისაც. განა იგივე მოვლენა არ იჩენს თავს ევროპაშიც? დაუგდეთ ყური ლოძის მრეწველებს პოლონეთში, როგორ ახმაურდენ ისინი მოსკოვის იაფ ფაბრიკატების წინააღმდეგ! გაისვენეთ ასანთის მონოპოლიის შემოღება გერმანიაში, რომლის უშუალო მიზეზი მოსკოვის იაფი ასანთი იყო.

მოსკოვმა მიივიწყა თითქმის შინაური ბაზარი, საშინელი შიმშილი ხალხისა საფაბრიკო და საქარხნო საქონელზე მას არ ადარდებს, რადგან ხალხს არაფერი აბადია იყიდოს იგი, ან თუ აბადია, ძალით ართმევს... ასე რომ სიმძიმის ცენტრი უცხო ბაზარზედ გადადის, მხოლოდ ამ გზით შეუძლია იშოვოს მოსკოვმა აუცილებელი ვალიუტა, ურომლისოდ მისი არსებობა წარმოუდგენელია.

ღიან, მოსკოვი არ ხუმრობს, მისი ძალა მართლა მონობაშია, მაგრამ მარტო ამ გზით ფონს ვერ გავიდოდა, ევროპა-ამერიკა რომ არ ეხმარებოდეს თავის ტექნიკითა და სპეციალისტებით! როგორც ხედავთ, ერთმანეთზეა გადაბმული მონობა, ვეება ფაბრიკა-ქარხნები და «დამპინგი», მართალია ზერნოვი «დნი»-მან, როცა აბობბს, მოსკოვს თვითონაც არ სწამს მსოფლიო რევიოლუცია, ის უკანასკნელ ომისათვის ემზადებაო.

კიდევ რამდენხანს გასტანს ასეთი გაუგონარი მდგომარეობა? ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენ ხანს შესძლებენ რუსის და არარუსის ხალხები მის ატანას, ან კიდევ, როდემდის შეუწყობენ ხელს მოსკოვის მედროვეთ ევროპა-ამერიკის ქვეყნები. უკანასკნელნი თითქო ახელენ თვალს, ამერიკა თაოხნობს, და ეს ბუნებრივია. ვერც ერთი დიდი საერთაშორისო კითხვა ეხლა ამერიკის ჩაურევლათ ვერ გადაწყდება. ასევე საბჭოთა კითხვაც.



ვიკებმა დაიკავეს სომხეთის რესპუბლიკა. ამნაირად: კავკასიის დიდი ნაწილი უკვე რუსეთის ხელში იყო და განაპირაზე რჩებოდა ჯერ კიდევ თავისუფალი საქართველო.

მაგრამ სრულიად აშკარა და ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის, როგორც პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური მისწრაფება, იქნებოდა მთლიან კავკასიის ხელში ჩაგდება და კასპია-შავი ზღვის გაერთიანება, როგორც რკინიგზით, ისე სანავთო მილით. აქ იყო, როგორც სჩანს, ორი ქვეყნის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შეჯახება: რუსეთის იმპერიალიზმისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ თავისუფლებისა.

გამარჯვა რუსეთმა. დამარცხდა საქართველო!

ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ბურჟუაზიულ მთავრობას აუჯანყდა თავისი ხალხი, და მანვე გადაადგო იგი მთავრობაო. რასაკვირველია, ეს მტკნარი სიცრუე იყო, რომელსაც მოკლე ფეხებიც არ ება. და ეს სიცრუე თვით ბოლშევიკებმა გამოაშკარავეს სრულიად მალე.

ეს მოხდა 1922 წლის, აპრილის 2-5-ს, მეორე ინტერნაციონლის, ორნახევარი ინტერაციონალისა და მესამე ინტერნაციონალის ეკზეკუტივთა სხდომაზე.

მეორე ინტერნაციონლის წარმომადგენლებმა ვანდერველდემ და მაკდონალდმა მოსთხოვეს ბოლშევიკებს ერთერთ სხდომაზე, საქართველოს განთავისუფლება. ამაზე ბოლშევიკების წარმომადგენელმა რადეკმა განაცხადა შემდეგი: —

«რაც შეეხება საქართველოს საკითხს, აღარ ვიცი რა აწუხებს ვანდერველდეს, ის რომ ტფილისში ჩხვიძისა და ჟორდანიას მაგივრად მდივანი გამოჩნდა, თუ ის, რომ ბაქოზე თავდასხმელი კარები (იგულისხმეთ: — ბათუმი! ვ. ნ.) ინგლისის ხელში არ არის... ესლა, ამხანაგებო, შეიძლება სხვადასხვა აზრისა იყონ განაპირა სახელმწიფოების შესახებ; მაგრამ რასაც ეს ნიშნავს, ესმის ყველას: სახელდობრ, რომ რუსეთზე თავდასხმელი კარებზე, რიგა და ბათუმზე, ინგლისს უნდა ჰქონოდა ხელი... საქართველოს არ შეეძლო ნეიტრალური დარჩენილიყო. მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანიას ესმოდა ეს და ამიტომ სთქვა: «თუ ჩვენ უნდა ავირჩიოთ ადგილასვლეთის ფანატრისმა და დასავლეთის ცივილიზაციას შორის, ჩვენ ვემზობით დასავლეთის ცივილიზაციას».

ესლა, დასავლეთის ცივილიზაცია მეტად კარგი საქმეა, მაგრამ დასავლეთის ცივილიზაციას ეკუთვნის არა მარტო ისეთი მშვენიერი რამე, როგორცაა ტფილისის დემოკრატია; ინგლისი კი დასავლეთის ცივილიზაციის ნაწილია სთვლის აგრეთვე ბაქოს ნავთის წყაროებს. ნავთის წყაროებზე მითხოვნილება მეტად დიდი ხდება არა სანავთო საზოგადოებისათვისაც, რომლის უკან ინგლისის ადმირალიტეტი სდგას, არამედ თვით ინგლისის მთავრობისათვისაც.

თქვენ კარგათ იცით, რომ ნავთის საკითხი არა მარტო პატარა საქართველოსათვის, არამედ აგრეთვე თვით დიდი რუსეთის ხალხისათვის და რუსეთის მუშათა კლასისათვის ისეთი რამეა, რომელსაც აგრეთვე ერთგვარი მნიშვნელობა აქვს, ესლა დამიძახა ერთმა ამხანაგმა ვენის ინტერნაციონალიდან «მშვენიერი ნავთის კომუნისმი!». (აბრამოვიჩი იძახის: «მართალია! ნავთის კომუნისმი!») როდესაც მოქალაქე აბრამოვიჩი სოციალიზმს შემოიყვანს, ამას ის უნავთოდ იზამს. (დიდი სიცილი). ჩვენ საწყლებს არც კი გვისწავლია, ნავთი ხეირიანად მოვიხმაროთ»-ო.


ასე მკვევრმეტყველებდა რადეკი, რომელმაც აღიარა პირველმა და გამოაშკარავეა, როგორც ბაქოს, ისე ბათუმის დაპყრობის მიზეზი: — ნავთი.

რასაკვირველია, კავკასიის დაპყრობაში მარტო ნავთი არ იყო ერთადერთი მიზეზი. კავკასიის გეოგრაფიული და სტრატეგიული, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი გეოპოლიტიკური ვითარება იყო ის ანდამანტი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დამპყრობი ქვეყნების მიმზიდველი იყო. ასე წარსულში, ასე დღესაც, მაგრამ კერძოდ ნავთის საკითხმა ამ უკანასკნელ ეპოქაში მანაც ითამაშა გადაპყრელი როლი. ბაქომ მიიზიდა ბათუმი და ტფილისი კვლავ შეიქნა კავკასიის ცენტრი.

მაგრამ რატომ ვერ შესძლეს კავკასიის ხალხებმა თავისი დამოუკიდებულების დაცვა? უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით ამ ხალხების ეროვნულ სახელმწიფოებრივ მომზადების სისუსტეში. არც სომხეთის ხალხი და ბოლოს, არც ქართველი ხალხი არ ამოიჩნდა მომზადებული ეროვნულად და არ იყო მომზადებული სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის; ასი წლის რუსეთის ბატონობამ, ეროვნული ძალების განუვითარებლობამ — ხელი შეუშალა ამ ხალხებს გამოემუშავებიათ თავისი ეროვნული «მე»-ს მნიშვნელობა და პატივისცემა. კავკასიის ხალხებმა ვერ შეიგნეს ის უზარმაზარი მნიშვნელობა, რომლის მატარებელი არის მათი ქვეყანა, და ცალ-ცალკე, ერთი მეორესაგან განცალკევებული, საერთო მიზნებსა და მიმართულებას მოკლებული, ცალცალკევე იქნა რუსეთის მიერ დაპყრობული.

ისტორიული გაკვეთილი: რომ კავკასია უნდა უნდა იყოს ერთი, ერთიანი, მთლიანი, სულერთია, როგორი პოლიტიკური ფორმით. — არ უსწავლიათ ან დავისწვებით კავკასიის ხალხებს, — და ამ გაკვეთილის არცოდნა, მისი ვერ სარგებლობა და პოლიტიკური მოუმზადებლობა ტრალიკული შეიქნა მათთვის.

ასე უცბათ, ასე იოლად, ასე უბრძოლველად — არასოდეს, არც ერთ მტერს არ დაუპყრია კავკასია და დაე ეს იყოს მწარე მაგალითი მომავალისათვის — ქუყის სასწავლებლად.



ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ვ ა ე ბ ი თ

(60ა ჩვენი ქვეყნის კრლანულ მეურნეობის მიმდინარეობა)

(გაგრძელება)

18.

ჩვენი ქვეყანა საუცხოვო პირობებს იძლევა იმისთანა მცენარეობის გაჩენისათვის, რომლის მოყვანას სხვა მრეწველობასაც გამოიწვევს. ამ მცენარეთა შორის საპატიო ადგილი «საფთიაქო» მცენარეებს უჭირავს. მათი კულტურა, ნიადაგის და ჰაერის მხრით, განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს და ყველა ეს ჩვენში უხვად არის მოცემული. თუ სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმართველობათა დაწესებულებათა ხელმძღვანელობა, საზოგადოდ, აუცილებელია ჩვენი სასოფლო-მეურნეობის წინსვლისთვის, ეს ზრუნვა აქ ერთი ათად უფროა საჭირო. «ცარიზმის» დროს სულ არა გაკეთებულა რა ამ დარგში და თუ იყო რამე ჩხირ-კედლობა, პრაქტიკული მნიშვნელობა არც ერთ იმ დროის ღონისძიებას არ მიუღია.

ამ საქმეში დამხმარ საშუალებათა შორის, შეიძლება ჩაითვალოს ტფილისის და ბათუმის ბატანიკურ ბაღების გაშენება. საუბედუროდ ამ დაწესებულებებმა ვერ მოახერხეს მუიდრო კავშირი დაეჭირათ პრაქტიკულ მეურნეობასთან და ამიტომ მათი არსებობა, თითქმის, უმნიშვნელო იყო.

სასურველია, რომ ეს ბაღები, მეცნიერულ კვლევადიებებთან ერთად, ეხლა მინც დაუახლოვდნენ სოფლის მეურნეთ და ის როლი ითამაშონ ამ მეურნეობის აღორძინებაში, როგორც ეს სხვაგან მომხდარა.

იმის მაჩვენებლად თუ რა ხდებოდა უტკოეთში და როგორი იყო მთავრობის ხელმძღვანელობა სასოფლო მეურნეობაში ახალი რაიონ დარგის გაჩენაში, მოვიყვანთ ჰოლანდიის მაგალითს. კითხვა ეხება კუნძულ იავაზედ ქინაქინის ხის გაჩენას.

ქინაქინის ხის კულტურა იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულს ყურადღებას არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი საგანია, არამედ უფრო იმიტომ, რომ გავეცნოთ რა დიდი და გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში ჰოლანდიის მთავრობამ» აო, ასე იწყებს თავის მონოგრაფიას ჰოლანდიელი Von Zawick, ნიდერლანდიის ინდოეთის ყოფილი მთავარი აგრაროპიული ინსპექტორი (გვ. 645-ი საიუბილეო გამოცემის).

«1852 წელს, განაგრძობს ავტორი, ორად-ორი ქინაქინის ხე იყო გაგზავნილი იავაზე. Leyde-ის სახელმწიფო ბოტანიკურ ბაღის მიერ და იქ იყო დარგული ერთს ბაღში.

როდესაც დაინახეს, რომ ეს ხე ჩინებულად ხეირობს იავაზე, 1854 წელსვე, გაიგზავნა სამხრეთ ამერიკაში უ. კ. პაუკორლი, რათა იქ შეეძინა მას საჭირო ნაშენები. ამ გაგზავნილმა სპეციალისტმა იქიდან 400 ქინაქინის ხე ჩამოიტანა, რომელთაგანაც 1856 წლამდე მხოლოდ 167 ხე გადარჩა. ამ კულტურის თვალყურის დევნა დაეწავა მეორე სპეციალურ ცენტრონიკამ სიბერე თუ სიბუნებოში»

ლისტს, რომელმაც თავის ცოდნით და უნარით 1862 წლამდე უკვე 130.000 ხე გააჩინა; მაგრამ აქაც ნახეს მარცხი: მალე დარწმუნდნენ, რომ უმეტესი წილი გაჩენილ ხეების ძალიან მდარე ღირსებისა გამოდგა. მაგრამ ამან გული არ გაუტეხა მთავრობის სპეციალისტებს. 1865 წელს ერთმა ინგლისელმა (C. Ledger) როგორაც მოახერხა ქინაქინის ხის საუკეთესო თესლის მოვნა. პერუში, და ერთი პაკეტი იმ თესლისა ჰოლანდიის მთავრობას მიყიდა. ამ თესლით დაითესა ხუთი თუ ექვსი ჰექტარი, ნათესობამ ისე იხიერა, რომ 1866 წელს პლანტაციებზე უკვე 20.000 ძირი გაჩნდა იმ მცენარისა. მთავრობის ხელმძღვანელობით ქინაქინის ხის პლანტაციები თანდათან უფრო ვრცელდებოდა; სასოფლო-მეურნეობის დარგში არც ერთი ახალი დაწყება არა ყოფილა ისე მეცნიერულად მოვლილი, როგორც ქინაქინის ხესა ხედა ხვედრათ, იავას კუნძულზედ»-ა.

მართალია, ქინაქინის ექსპორტის ზრდა ამ კუნძულიდან ყოველთვის არ არის ერთ დონეზე დაყენებული. მაგრამ აი როგორი ყოფილა ექსპორტი ამ ძვირფას პროდუქტისა წლითი-წლითი, კლოტარამებით:

1902 წ.	30.942 კილოგრამი.
1903	45.976 „
1904	24.984 „
1905	35.123 „
1906	20.182 „

ასეთი დიდებული შედეგი მოყვა იმ ცდებს, რომელიც ხდებოდა ჰოლანდიაში მისი მთავრობის და სახელმწიფო ბოტანიკურ ბაღის მეთაურობით და ინიციატივით.

რა შორს არის ყველა ამანედ ტფილისის და ბათუმის ბოტანიკურ ბაღების მოღვაწეობა, რომელნიც რუს მოხელეთა საკვებ საკუჭნოებს უფრო გვანდნენ, ვიდრე მეცნიერულს და პრაქტიკულ დაწესებულებებს.

მიუხედავად საქართველოში მყოფ მთავრობის გულცივობისა, ჩვენი ქვეყნიდან მისი გადიოდა სახელმწიფო, ყოველწლივ, 600-700.000 მანეთის «საფთიაქო» მცენარეობა. ეს ხდებოდა კერძო ინიციატივით, უწესოთ და უმეთოდოთ, რაც ხშირად დიდს ვნებას აყენებდა იმ ბუნებრივ საბუდარებს, სადაც ასეთი მცენარეები მოდიოდა. ასე დაზიანდა მაგალითად, გვირილას ბუნებრივი პლანტაციები სამაზაბლოს მთებში, რომლის ექსპორტი ყოველწლივ საგრძობლად კლებულობდა...

19.

ამნაირსავე უპატრონობით თითქმის სრულიად ჩაქრა საქართველოში ოდესღაც გათქმული მეაბრეშუმეობა. ისტორიულ წყაროებიდან ვიცით, რა რიგად იყო აყვავებული ეს კულტურა და წარმოება

ჩვენს ქვეყანაში. ეხლა ამ დარგში მხოლოდ მკრთალი ალიდა მოსჩანს.

უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში ჩვენს მეაბრეშუმეობას ხშირად ერთობ დიდად სასიხათო მდგომარეობა უდგებოდა, რაიც მოსპობის პირზედ აყენებდა ამ დიდს საქმიანობას.

მხოლოდ დროს ამას მივყავართ უცხოეთიდან დაავადებულ გრუნის შემოტანა, რომელიც სრულიად დაუსჯელად შემოქნადა ჩვენში უცხოელ წვრილფეხა ვაჭარ კომისიონერებს და მამასისხლად აჩვენებდნენ ჩვენს გლეხს, რომელიც, მიუხედავად ცუდი პირობებისა, ჯიუტობდა და არ სპობდა საეხებით ძველთაგან გადმოცემულ სააბრეშუმო დარგს.

რადგან ჩვენში ერობა არ არსებობდა, ერთადერთ პატრონ-ხელმძღვანელად ჩვენებურ მეაბრეშუმეობას კავკასიის სააბრეშუმო სადგური გამოუჩნდა; ამ სადგურმა თავში ვერ გამოიჩინა უნარი, მოსახლეობისთვის ხელმძღვანელობა გაეწია. მის სათავეში იდგა ერთი რუსი მოხელე (შაფროვი), მოძულე ადგილობრები მოსახლეობის, რომელიც «ტუხმეცების» ქაშია რუსის მოხელეობის ჯგუფს ეკუთვნოდა, და აბა რა გული უნდა შესტყენოდა მას საქართველოს მეაბრეშუმეობისათვის...

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ეს სადგური იმულებული იყო, მაინც ყურადღება მიექცია ავადმყოფ გრუნის შეუპოვრად გავრცელებისთვის მოსახლეობაში და შემოეღო ზომები, რომ გრუნა ადგილობრივ, კავკასიის ფარგლებშივე, ყოფილიყო დამზადებული, სასტიკი კონტროლის შემოღებით; თესლის ადგილობრივად დამზადებაც იწყება 1910 წლიდან. საუბედურთ ვერც არ არის განვითარებული იმ გვარად თესლის შინ დამზადება, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა უცხოეთიდან გრუნის შემოტანა, მაგალითად, გამოანგარიშებული იყო, რომ 1926 წელს ჩვენს ქვეყანას დასჭირდებოდა სულ 110.000 კოლოფი თესლი. იმედოვნებდნენ, რომ აქედან 80.000 კოლოფი უნ იქმნებოდა დამზადებული, დანამტენი კი მაინც უცხოეთიდან უნდა დაეპარებინათ.

1910 წლის სტატისტიკის მიხედვით საქართველოში იმ წელს მოხმარებული იყო 130.000 კოლოფი გრუნი, რამაც 160.000.000 ფუთი ნელი პარკი მოგვცა; 1914 წელს მხოლოდ 105.000 კოლოფი იყო მოხმარებული და აქედან 128.000 ფუთი ნელი პარკი გამოსულა. აქედან იწყება კატასტროფული დაცემა მეაბრეშუმეობის, რომელიც 1923 წლიდან კვლავ იკიდებს ფეხს, ასე რომ 1926 წელს კვლავ 105.000 კოლოფი გრუნი მოხმარდა ამ საქმეს, რამაც უკვე 150.000 ფუთი ნელი პარკი გამოიღო (იხ. ნაწილ. ხელ. ზაკ. გვერდი 163).

დასახლებული იყო 1914 წლისთვის მოცემულია ასეთი ოფიციალური ცნობები: მიღებული იყო 40000 ფ. ხმელი პარკი; იმ დროს 1 ფუთი ფასობდა 64-67 მანეთს, ასე რომ წლის მოსავალი (ხმელი პარკის) იყო, დაახლოებით, 2.600.000 მანეთი.

იმის დამიხედვით, რასაც ტფილისის გამოცემები გადმოგვცემენ, დღეს ასეთი, მეაბრეშუმეობის მდგომარეობა. მოსახლეობა კვლავ შეუდგა ამ დარგის გამოცოცხლებას. რაც კი თუთის ხე შერჩა და-

ლუპვას უკვე სავსებითაა მოხმარებული ქუჩის სავსებით, ასე რომ საქმის ვასაფართოებლათ ენერგიული ზომებია საჭირო თუთის პლანტაციების გასაღიდებლად. ადგილობრივი აგრონომიული ძალები ამ მხრივ კვლევა-ძიებაში არიან, რათა თუთის ხეების ისეთი ჯიშები შემოიღონ, რომელიც მეტ ფურცელს იძლევა. ასახელებენ ორ ახალგაზდა ქართველ აგრონომს (ცქვიტიშვილი და დონდუა), რომელნიც ახალი მეთოდების ძიებაში არიან; თუ მათი ცდები გამართლდა, «მეაბრეშუმეობის საქმე არაჩვეულებრივად განვითარდება»-ო. როგორც სჩანს პარკის მოსავალი 1928 წელს უკვე 147.000 ფუთს უდრიდა. ეს უახლოვდება იმ მოსავალს, რომელიც 1910-1911 წლებში იყო, სახელდობრ 160 ათასი და 150 ათასი ფუთი. როგორც ვხედავთ 10 წლის ბოლომდეც ბატონობის შემდეგ, ნელი პარკის მოსავალის რაოდენობა მაინც უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს ომის წინ იყო. საოცარი ის არის, რომ მიუხედავად ათასი გაქორციელებისა ჩვენი ერთი მაინც არ სტოვებს მეაბრეშუმეობას; პირიქით თავისი ენერგიით იგი საბაბს აძლევს მთავრობას დაარსდეს ჩვენში ახალი სახევი და აბრეშუმის საქსოვი ქარხნები. პლანები და გეგმები უხვად მზადდება. «საკ. აბრეშუმის» ტრესტის პერსპექტივებითა, ვკითხულობთ ერთ ოფიციალ მოხსენებაში, «15 წლის განმავლობაში მეაბრეშუმეობის შემოსავალი აყვანილი იქნება 30-40 მილიონ მანეთამდე წელიწადში, ხოლო აბრეშუმის პროდუქციის გადამშუვებით—200-250 მილ. მანეთამდე».

ამ პლანში არაფერი ფანტასტიური არა არის რა, მხოლოდ საჭიროა სიტყვებიდან საქმეზედ გადასვლა, რომ ჩვენმა გლეხმა, მთავრობის დახმარებით და ხელმძღვანელობით, გაიჩინოს საუკეთესო ჯიშის თუთის ხე, განთავისუფლებულ იყოს დაავადებულ გრუნის მიჩენებიდან, ისწავლოს რაციონალურად ქუჩის გამოკვეთა, მიიღოს უფრო მაღალ პროცენტაჟი გამოსავალი პარკისა; გაუჩნდეს საუკეთესოდ მოწყობილი ძაფის სახევი და აბრეშუმის საქსოვი ქარხნები და სხვა... როდესაც ყველა ეს მოგვარდება, ჩვენ გვწამს, რომ მეაბრეშუმეობა უდიდეს ალაგს დაიკავებს ჩვენი ერის ეკონომიკაში, რადგან ჩვენი ქვეყნის პირობები, ძველთაგანვე დაგროვილი ცოდნა-ჩვეულებანი ხელშემწყობი ფაქტორებია ამისათვის.

ნუ ვიფიქრებთ, რომ მხოლოდ ჩვენი გლეხის ტექნიკაა ამ დარგში ჩამორჩენილი; პროპორციების მიხედვით, არც ევროპიელი გლეხია, მაინც და მაინც, დიდებულად გაწრთნილი. და სწორედ ამიტომაც, რომ იქ თვით სახელმწიფო კისრულობს გლეხის მეურნეობის ხელმძღვანელობას, აი მაგალითად, რა შეამჩნიეს რომ თუთის ხის პლანტაციები არც სავაო იყო და, თანაც, ზოგი ჯიში გადაგვარდა, საფრანგეთის მთავრობამ სწრაფი ღონისძიებანი მიიღო, რომ სანერგე მასალა დაერიგებინა მოსახლეობისათვის. მრავალწლის განმავლობაში ცდებოდა აწარმოებდნენ სახელმწიფო ბოტანიკურ ლაბორატორიებსა და ბაღებში, რომ მაღალი სორტის თუთის ხე გამოენახათ და შარშან სწორედ ასეთი ჯიშის ხეები დაურიგდა უხვად საფრანგეთის მოსახლეობას, რათა გზების გასწვრივ, მდინარეების და რუების სანაპიროებზე და-

ერგოთ, სადაც კი მისაწოდში იქნებოდა. (თუთასთან ერთად წაბლის ხეებსაც ავრცელებენ ამ ქაზად ამ ქვეყანაში და მასთან ნიგვზის ხეებსაც. ამ ორ უკანასკნელს (ნიგვზსა და წაბლს), დიდი ალავი უკავია, როგორც საქსპორტო საქონელს). ამას გარდა, მიღებულია ზომები, რომ პარკის მოსავლიანობა იყოს გადიდებული. 1928 წელს 25 გრამიანი გრენის კოლოფი საფრანგეთში, იძლეოდა მხოლოდ 40 კილოვს, 1929 წელს-კი ეს მოსავალი 50 კილომდე ავიდა. ამასაც არ სჯერდებოდა და მიღებულია ზომები, რომ მომავალში ამ მოსავალმა კიდევ უფრო იმატოს. ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა კატასტროფიული ყოფილა. ადგილობრივი სტატისტიკური ცნო-

მთლად	მეაბრეშუმობაში
მოსახლეობა	ჩაბმული ოჯახი
საფრანგეთი 40 მილიონი	50.516 (1929 წელს)
საქართველო 2.660 ათასი	108.000 ,,

როგორც ხედავთ რიცხვი მოსახლეობისა და გრენის კოლოფების რაოდენობა წლიურად ჩვენში უფრო დიდია ვიდრე საფრანგეთში, მაგრამ უის გაცოცხლების ტექნიკა და პარკის გამოსავლიანობის რაოდენობა ჩვენში ისეა დაბლად დაყენებული, რომ ხმელი პარკის გამოსავალი საფრანგეთში გაცილებით მეტია...

რასაკვირველია საფრანგეთს არ ყოფნის შინ და მხადებული პარკი და იგი იძულებულია უცხოეთიდან შემოიტანს მის საქსოვ ქარხნებისათვის ნედლი აბრეშუმეულობა და პარკი. მთელი აბრეშუმეულობის ინდუსტრია გარედან შემოიტანის ნედლ მასალაზე და მყარებული. სხვათა შორის დიდძალი პარკი საქართველოდანაც შემოაკვთ და მის ღირსებას ძალიანაც აფასებენ საფრანგეთის ქარხნებში.

აბრეშუმის გამოყვანაში ჩაბმულ მეურნეთ (საფრანგეთში) ერგოთ:

- 1922 წელს 37.131.000 ფრანკი.
- 1923 წელს 60.900.000 ,,
- 1924 წელს 75.301.000 ,,

ამ ციფრების გამომქვეყნელი ეკონომიური ქურნალი რანქენს: «მოსავლის ღირებულობის ასეთი გადიდება და მეაბრეშუმეობის აღორძინების გზაზე დაყენება. არის წამქეზებელ ზომების შედეგი, რომელსაც სახელმწიფო და კომუნები ღებულავენ. სასურველია ასეთი ზომები კვლავაც იყოს გაგრძელებული, რათა საფრანგეთი სრულებით განთავისუფლდეს უცხოეთისაგან და საქართველო ნედლი მასალა შინვე მოიყვანოს».

მაგრამ სურვილის გამოთქმა ხშირად უფრო აღვილია, ვიდრე მისი საქმეთ გადაქცევა. უცხოეთიდან ნედლი მასალის (პარკი, ძაფი) შემოიტანაზე უარს ვერ იტყვის საფრანგეთის აბრეშუმის ინდუსტრია, რომელიც სწორედ უფრო უცხოეთიდან შესყიდულ ნედლ

ბით ამ ქაზად კოლოფი იძლევა ჩვენში მხოლოდ 29 კილოგრამს.

გან. «კომუნ.» გადმოცემით მეაბრეშუმეობაში ჩაბმული საქართველოში 108.000 გლენური ოჯახი, აქედან აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 10.000 ოჯახი. თავის თავად ცხადია, რომ ეს ერთობ დაბალი ჯამია და უნდა ველოდეთ, რომ ეს რიცხვი მაღე იმატებს.

იმის საჩვენებლად, რამდენადაა საქართველოში გავრცელებული მეაბრეშუმეობა (გლენური ოჯახების ჩაბმით) მოვიყვანთ, შესადარებლად, საფრანგეთის F Office Nat. Serie. ცნობებს, საფრანგეთის შესახებ.

ხმელი პარკის რამდენი კოლოფი წლიური გამოსავალი გრენი იყო მოხმარებული: 2.513.000 კილოგრ. (1929 წ.) 50.435 (1929 წ.)

651.000 ,, (ომის წინ) 110.000 (1926 წ.)

მასალაზედ არის დაფუძნებული. აბრეშუმეულობის ინდუსტრია საფრანგეთში ორ გათქმულ პუნქტშია: უმთავრესად მოქცეული: ქალაქ ლიონში (ქსოვილებისათვის) და სენტ-ეტიენში (ღერტები). მართო ქ. ლიონის აბრეშუმის პროდუქცია 1924 წელს შეფასებული იყო სამ მილიარდ 466 მილიონ ფრანკად. საფრანგეთის აბრეშუმეულობის მთელი ექსპორტი უდრის სამ მილიარდ 539 მილიონ ფრანკს.

ამ ინდუსტრიაში ჩაბმული მუშების რიცხვი:

- ლიონში 180.000 მუშა.
- სენტ-ეტიენში 100.000 მუშა.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ იმ საშირობაზე, რომელიც მეაბრეშუმეობას უდგება წინ ხელოვნური აბრეშუმის სახით, ხელოვნურ აბრეშუმს ერთი დიდი უპირატესობა აქვს—მისი თვით ღირებულება, უფრო ნაკლებია ბუნებრივზედ. სამაგიეროთ მას არა აქვს არც ერთი ღირსება ბუნებრივ აბრეშუმის. ეს უკანასკნელი უფრო გამძლეც არის და ტარებაში უფრო მზიანიც. ხელოვნური აბრეშუმი მცენარეულის (ცელულოზა) ქიმიურად გადაამუშავების პროდუქციაა, ნამდვილი აბრეშუმი-კი ცხოველი აკენტის ნამუშევარი. თუმცა ყოველწლივ მატულობს ხელოვნური აბრეშუმის პროდუქცია და სათანადო ქარხნებს ყველა ქვეყნებში აშენებენ, მაგრამ, დღეს-დღეობით, საერთო აზრია, რომ იგი ვერ დაიჭერს ბუნებრივ აბრეშუმის ალავს... ყოველ შემთხვევაში საქართველოში ყველა პირობებია მოცემული, რომ ჩვენშიაც აღორძინდეს ხელოვნური აბრეშუმის დამზადება: ცელულოზაც უამრავი გვაქვს (ჩვენი ტყეები და მცენარეულობა) და თეთრი ნახშირიც, როგორც ძალა, უბი იბიუსტრტში და სხვ.

—ლიბე

ინგლისი და დომინიონები

ინდოეთის ამბები დღეს საერთო ყურადღებას იპყრობს. იქ ძლიერი ეროვნული მოძრაობაა ახლა და «დომინიონის სტატუტის» შესახებ ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ. მაგრამ, თუ რა არის ეს «დომინიონის სტატუტი» და როგორია მისი შინაარსი, ამას კი ნათლად არავინ არკვევს.

ხშირად «დომინიონის სტატუტის» და «პასუხის მგებელი მთავრობის» ცნებას ერთ მეორეში ურევინებენ და ერთი მეორეში ფარავენ. ნამდვილათ კი ეს ორი ცნება სხვადასხვაა და ერთი მეორისაგან განირჩევა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, «დომინიონის სტატუტის» ცნება გაცილებით უფრო ფართე და შინაარსიანია, ვიდრე «პასუხისმგებელი მთავრობისა».

«პასუხისმგებელი მთავრობა» მართვლობის ისეთი სასტუმარია, როცა აღმასრულებელი ძალა კანონმდებლობითი ძალას ემორჩილება და ამ უკანასკნელის კონტროლს განიცდის. სანამ ინგლისის კოლონიები ასეთ «პასუხისმგებელ მთავრობას» მოიპოვებდნენ, მათ წინასწარ თანდათანობითი საფეხურების გავლა დასჭირდათ. ინგლისის კოლონიებს შორის «პასუხისმგებელ მთავრობისათვის» ბრძოლა პირველად კანადამ გამოაცხადა.

ინგლისი და საფრანგეთს შორის შვიდი წლის ომის ერთი შედეგთაგანი ის იყო, რომ 1763 წლის მათ შორის ხელშეკრულებით ინგლისს ერგო კანადა, რომელიც წინა საფრანგეთის კოლონია იყო. კანადა ორი პროვინციისაგან შესდგებოდა, ზემო და ქვემო კანადა. ზემო კანადაში უმთავრესად ინგლისელები ცხოვრობდნენ, ქვემოში კი ფრანგები, ამიტომ ზემო კანადას უწოდებდნენ ინგლისურ კანადას, ქვემოს კი ფრანგულს. ოცდაათი წლის განმავლობაში, დიდი კანადის ინგლისელების ხელში გადასვლისა, იქ სამხედრო რეჟიმი იყო გაბატონებული. მხოლოდ 1791 წელს, როგორც ზემო, ისე ქვემო კანადაში ინგლისელებმა შემოიღეს ადგილობრივი კანონმდებლობითი დაწესებულება. ამ წლის აქტით კოლონიაში ინიშნებოდა გენერალგუბერნატორი, რომლის დამხმარე ორგანოებათ უნდა ყოფილიყო აღმასრულებელი საბჭო და ორ პალატიანი საკანონმდებლო დაწესებულება. აღმასრულებელი ორგანო არ ემორჩილებოდა საკანონმდებლო დაწესებულებას და პირველი არ განიცდიდა მეორის არავითარ კონტროლს და გავლენას. საკანონმდებლო დაწესებულება მხოლოდ რჩევითი ორგანო იყო. აღმასრულებელი ძალა სავსებით ექვემდებარებოდა და დამოკიდებული იყო ინგლისის მთავრობისაგან, ანუ მის ადგილობრივი წარმომადგენელი გენერალგუბერნატორისაგან. ამნაირად ადგილობრივი მცხოვრებნი ადგილობრივ საქმეებს თვითონ არ განაგებდნენ, არამედ მათ ბრძანება და ინსტრუქციები ინგლისის მთავრობისაგან მოსდიოდათ.

საკანონმდებლო დაწესებულებას არ ქონდა არავითარი ძალა და უფლება, არ არსებობდა პასუხისმგებელი მთავრობა. ეს იწვევდა მუდმივ კოფლიქტს

და უთანხმოებას ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულებას და უპასუხისმგებლო მთავრობას შორის და ასეთი მდგომარეობა კი, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა ვერც ფრანგულ და ვერც ინგლისურ კანადას.

1837 წელს კანადის ორივე პროვინციაში ხთება აჯანყება, რომლის ჩაქრობა არც ისე ადვილი საქმე იყო ინგლისისათვის. კანადის ამბებმა ინგლისი დიდად დააფიქრა და მოაგონა მას ამერიკასთან ომი და შეერთებულ შტატების ინგლისიდან სრულიად ჩამოშორება. კომისია, რომელიც ლორდ ღურჩამის თავმჯდომარეობით გაგზავნილ იქნა ინგლისელების მიერ კანადაში შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად, თავის მოხსენებაში ინგლისის მეფეს და მთავრობას გადაჭრით ურჩევდა, რომ მათ კანადაში თვითმართველობა და პასუხისმგებელი მთავრობა შემოეღოთ და ადგილობრივ მთავრობაში თუ სამართველობებში მხოლოდ ისეთი ხალხი ყოფილიყო, რომლის ნდობა და პატივისცემა ექნებოდა წარმომადგენლობით დაწესებულებას. გენერალგუბერნატორი სავსებით უნდა ემყარებოდეს ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულებას და მასთან რაიმე ქონფლიქტის დროს არ უნდა ცდილობდეს ლონდონის მთავრობის ჩამორევას. თუ კი კონფლიქტი არ შეეხება და არ შელახავს საიმპერიო ინტერესებს, ამბობდა ღურჩამი. სპირო შეიქნა ანტი წელი, რომ ლორდ ღურჩამის მოხსენების მთავარი დებულებები მიღებული ყოფილიყო. დაბოლოს, 1847 წელს, კანადაში შემოღებულ იქნა «პასუხისმგებელი მთავრობა». სწორედ ოცი წლის შემდეგ (1867 წ.) კანადის სხვადასხვა პროვინციები გაერთიანდნენ ერთ ფედერატულ ერთეულში კანადის დომინიონის სახელწოდებით.

სანამ ამერიკის შეერთებული შტატების პროვინციები ინგლისის კოლონიები იყვნენ და ამერიკა ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი, ინგლისი იქ აგზავნიდა თავის ტუსალებს. მეთვრამეტე საუკუნის დამლევიდან მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ინგლისი თავის ტუსალებს უკვე ახალ საკოლონიზაცია ადგილებში—ავსტრალიაში და ახალზელანდიაში აგზავნიდა. ტუსალებს გარდა იქვე იგზავნებოდნენ აგრეთვე მრავალნი უმუშევარნი. ინგლისელები სპეციალურად ეწეოდნენ ავითაცია ავსტრალიაში და ახალზელანდიაში იმიგრაციის სასარგებლოდ და ამ მიზნით დაარსებულ იყო სპეციალური საიმიგრაციო ფონდიც. 1830 წლიდან ავსტრალიაში და ახალზელანდიაში ჩასახლებულთა რიცხვი ძალზე გაიზარდა და მათი მნიშვნელობა ახალ კოლონიებში დიდი შეიქნა. უკვე ამ წლიდან დაწყებული ავსტრალიაში შემოღებულ იქნა თანდათანობით თვითმართველობა—self-government, ახალზელანდია კი თვითმართველობა 1856 წელს ებოძა. ამ კოლონიების წინსვლა უდიდესი სისწრაფით მიმდინარეობდა ყოველივე მხრივ, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც. დაბოლოს ავსტრალიის ექვსი ერთი მეორი-



საგან დამოუკიდებელი პროვინცია გაერთიანდნ კონფედერატულათ 1900 წელს ავსტრალიის დომინიონის სახელწოდებით. ახალიზელანდია კი დომინიონათ 1907 წელს გამოცხადდა.

უკანასკნელი კონტინენტი, რომელიც იმპერიალისტურ ქვეყნების სათარეშოთ დარჩა, იყო აფრიკა. აფრიკის სამხრეთი ნაწილი ინგლისელებს უკვე ნაპოლეონის ომის დროიდან ქონდათ დაპყრობილი და იქ კიდევ იმ დროიდან აწარმოებდნ კოლონიზატორულ პოლიტიკას. მაგრამ ინგლისელების მთავარი მიზანი იყო მათი გავლენის ქვეშ ყოფილიყო მთელი ტერიტორია ეგვიპტედან მოყოლებული სამხრეთით კაპამდე. ზოლო ეგვიპტეს და კაპის შორის ბურების რესპუბლიკა იმყოფებოდა და ინგლისელების გეგმის განხორციელებას ეს რესპუბლიკა ხელს უშლიდა. ამ რესპუბლიკის დაპყრობა ინგლისელებმა სცადეს 1898 წელს. მაგრამ მათი ინტრიგები იმ ხანად უშედეგოთ დამთავრდა. სამი წლის შემდეგ კი ომი მაინც ატყდა ინგლის და ბურების რესპუბლიკას შორის, რაც ბურების დამარცხებით და მათი რესპუბლიკის ინგლისთან შეერთებით დამთავრდა (1902 წელს). ხუთი წლის შემდეგ ბურებმა კიდევ შესძლეს თვითმართველობის მოპოვება და მერმედ 1910 წელს თავისებურაყოფლობით შეუერთენ სამ სხვა სამხრეთ პროვინციას სამხრეთ აფრიკის კავშირის სახელწოდებით.

ბრიტანეთის იმპერიის განვითარების ისტორიაში მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინგლისი ყოველთვის იჩენდა შესაფერ უნარს დროზე გაეწია ანგარიში კოლონიალურ ქვეყნების თვითმართველობისადმი ლტოლვილებისათვის და დროზე გაეკეთებია მათთვის ესა თუ ის დათმობები და კომპრომიზები. სხვათა შორის სწორედ ამითაც აიხსნება ის, რომ ბრიტანეთის იმპერიას დღემდინ შეუძარჩუნებია, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, ერთნაირი მთლიანობის სახე.

საინტარესოა ვიცოდეთ, თუ თანდათანობით რა ცვლილება ხდებოდა ინგლისს და ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ სხვა ნაწილთა დამოკიდებულებაში.

ჩვენ ზემოთ დაივანახეთ, რომ ინგლისის კოლონიებში უპასუხისმგებლო მთავრობა დროთა განმავლობაში ადგილობრივი საკანონმდებლო დაწესებულებების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობით იცვლებოდა და ესა თუ ის კოლონია თვითმართველი ხდებოდა. შემდეგ თვითმართველი კოლონიები, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, ერთმანეთს უერთდებოდნ ფედერატულად თუ კონფედერატულად, რასაც ადგილი ქონდა, მაგალითად, კანადაში, ავსტრალიაში და სამხრეთ აფრიკაში და ეს ქვეყნები დომინიონის სახელწოდებას იღებდნ.

თვითმართველ კოლონიებს წინეთ ქონდათ მინიჭებული სრული თავისუფლება შინაურ საქმეების გამოვლაში, გარეურ საქმეების კი მათ არაფერი ეკითხებოდათ. მათ არ ქონდათ უფლება რაიმე მონაწილეობა მიეღოთ იმპერიის საქმეების მართვა-გამგეობაში, ან უცხო ქვეყნებთან დამოკიდებულებაში: საგარეო პოლიტიკის სფეროში ავტონომიური კოლონიები დამოკიდებული იყვნენ ინგლისისგან, რო-

მელიც სხვების დაუკითხავად აწარმოებდა ამ პოლიტიკას.

თვითმართველ კოლონიების კონფერენცია ინგლისთან სათათბიროდ მხოლოდ 1887 წელს იქნა მოწვეული პირველად. ამ კონფერენციის საგანი იყო, თუ რა მონაწილეობა უნდა მიეღოთ თვითმართველ კოლონიებს იმპერიის საერთო თავდაცვაში. ამ კონფერენციაზე არ ყოფილა წამოყენებული რაიმე საკითხი კონსტიტუციური ხასიათისა, არც თვით კოლონიების კონფერენციაზე წარმომადგენლობის წესი იყო განსაზღვრული, არც შემდეგი კონფერენციები 1894, 1897 და 1902 წლებში ყოფილან საინტერესო ინგლისის და დომინიონების ერთმანეთთან დამოკიდებულების მხრივ, უფროსაინტერესო იყო 1907 წლის კონფერენცია, რომელზედაც გამოიმუშავებო იქნა თვით კონფერენციის კონსტიტუცია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის ძალით ყოველ ოთხ წელში უნდა მოწვეულ ყოფილიყო ინგლისის და დომინიონების მთავრობათა წევრებისგან შემდგარი საიმპერიო კონფერენცია. ასეთი კონფერენციის თავმჯდომარეთ ex officio იქნებოდა ინგლისის პირველი მინისტრი, კამათში მონაწილეობის მიღება შეეძლებოდათ თვითეულ მთავრობის ორ წარმომადგენელს და თვითეულ მთავრობას ექნებოდა მხოლოდ ერთი ხმა.

ამ კონსტიტუციის მიხედვით პირველი საიმპერიო კონფერენცია 1911 წელს იქნა მოწვეული. ამ კონფერენციაზე დომინიონების წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ ბრიტანეთის იმპერიის საგარეო საქმეების მოგვარებაში და გადაწყვეტაში ინგლისთან ერთად დომინიონებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა და ამ სფეროში მათ ყველას თანაბარი უფლებები უნდა ქონდეთო. ბრიტანეთის პირველმა მინისტრმა და ლიბერალების ცნობილმა ლიდერმა ასკვიტმა ამაზე დომინიონების წარმომადგენლებს ის პასუხი გასცა, რომ მისი მთავრობა საგარეო საქმეების შესახებ მსჯელობაში დომინიონებს ვერ ჩაირევდა და ამ მხრივ მათ ვერაფერს დაუთმობდა.

დიდი ომის გამოცხადების შემდეგ არსებული მდგომარეობა და ინგლისის და დომინიონების დამოკიდებულება უეცრივ და თვალსაჩინოთ შეიცვალა. დომინიონებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ომში. შეადგინეს აკლცალკე ნაციონალური ნაწილები განსაკუთრებული სახელწოდებით თვითეულ დომინიონისათვის. დომინიონების მიერ სამხედრო დახმარება ინგლისისათვის უდიდესი საქმე იყო და ინგლისის მხრივ ასეთი რამ შესაფერი ზომების და თადარიგის მიღებას თხოულობდა.

დომინიონების და ინგლისის მკვიდრი სამხედრო თანამშრომლობისათვის საჭირო იყო მათი წარმომადგენლების ხშირი ხშირი შეხვედრა და სათათბირო. ამისთვის კი აუცილებელი იყო დაარსებულიყო რაიმე ორგანო აღმასრულებელი უფლებებით, რომელიც საჭიროების დროს შესძლებდა ამა თუ იმა გადაწყვეტილების საჩქაროთ მიღებას. ინგლისის მთავრობამ უკვე ომის პირველ ხანებშივე გამოყო თავის წრიდან მცირე კაბინეტი, რომელსაც ინგლისის სამხედრო კაბინეტი ეწოდებოდა და რომ-

ლის მოვალეობას ომის საქმეების უმაღლესი ხელმძღვანელობა შეადგენდა: შემდეგ 1917 წელს დაარსდა საიმპერიო სამხედრო კაბინეტი, რომელიც შესდგებოდა ინგლისის მცირე სამხედრო კაბინეტისგან და დომინიონების პირველ მინისტრებისაგან, რომელიც იმ დროს ლონდონში იმყოფებოდნენ. საიმპერიო სამხედრო კაბინეტის მოვალეობა იყო, რომ ომთან დაკავშირებით მას ესა თუ ის გადაწყვეტილება მიეღო სამხედრო მაშტაბით. უნდა ითქვას, რომ საიმპერიო სამხედრო კაბინეტი არ ყოფილა კაბინეტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რამდენადაც შესდგებოდა ინგლისის მცირე სამხედრო კაბინეტისაგან და დომინიონთა მთავრობების თავმჯდომარეებისგან. ის უფრო იყო მთავრობათა ვიდრე მინისტრთა კაბინეტი.

თუ წინთ ინგლისის მთავრობა გაურბოდა დომინიონებთან რაიმე საქმე ქონებოდა და მათი აზრი მოესმინა საიმპერიო საკითხების შესახებ, დიდმა ომმა წამოაყენა ბევრი ისეთი საკითხები, რომლებსაც უნდა შესდგებოდა საიმპერიო ხასიათი ქონდა და რომელთა შესახებ დომინიონების და ინგლისის მთავრობათა ერთად თათბირი აუცილებელი შეიქნა.

დომინიონებმა უდიდესი მონაწილეობა მიიღეს უკანასკნელ ომში და უთვალავი იყო მათი მსხვერპლი ამ დროს. ომის უკანა ფრონტის ორგანიზაციით შინ და მამაკურთხ ბრძოლით თვით სამხედრო ფრონტებზე დომინიონებზე მთელი ქვეყანა გააკვირვებს. ცხადი შეიქნა, რომ დომინიონების დაუხმარებლათ ინგლისის ომში გაანადგურებდნენ. ყველამ დაინახა ავრთვე, რომ დომინიონები ინგლის არაფერში ჩამორჩნენ უკან და ბევრ რამეში კიდევაც წააჯობებს მას. დომინიონების ინგლისისათვის გაწეული სამსახური და მათი თვალსაჩინო სიმწიფე შესაფერად უნდა დაფასებულ იყოს. უკვე 1915 წელს კანადის პირველ მინისტრს იწვევენ ინგლისის მთავრობის კრებების დასასწრებლად. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ორი წლის შემდეგ კი სხვა დომინიონების პირველი მინისტრებიც ბუბენ ინგლისის მთავრობის წევრებთან ერთად საიმპერიო საქმეებზე და ამ მი-

ზნით საიმპერიო სამხედრო კაბინეტიც არსდებოდა.

1917 წელს საიმპერიო კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც კრებზე კანადის პრემიერმა შეიტანა და რომელსაც უნდა შესდგებოდა მთავრობის ხასიათი ქონდა. ეს რეზოლუცია ამბობდა, რომ ბრიტანეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილთა შორის კონსტიტუციური დამოკიდებულების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანი და რთული საკითხია, რომ მისი ყოველ მხრივ გარკვევა ომის დროს იქნას შესაძლებელი. საამისოთ აუცილებელია დაუყონებლივ ხაზის ჩამოგდების შემდეგ მოწვეულ იქნას სპეციალური საიმპერიო კონფერენცია. მაგრამ რეზოლუცია მთავარ იდეას უკვე იძლეოდა და ამბობდა, რომ იმპერიის სხვადასხვა ნაწილთა შორის კონსტიტუციური დამოკიდებულება იმ საფუძველზე უნდა აეგოს, რომ დომინიონები იქნებოდნენ სრულიად ავტონომიური ერთეულები, რომელთაც ექნებოდა შესაფერი ხმა საგარეო პოლიტიკაში და საერთაშორისო დამოკიდებულებაში. ხაზის ჩამოგდების შემდეგ საიმპერიო სამხედრო კაბინეტი, რომელიც შესდგებოდა ინგლისის მთავრობის, ზოგი წევრისგან, დომინიონების პირველ მინისტრებისაგან და ინდოეთის წარმომადგენელისაგან გადავიდა პარიზში ბრიტანეთის იმპერიის მანდატით საზავო კონფერენციაზე.

ვერსალის კონფერენციაზე კანადის პრემიერმა ბორდენმა წამოაყენა საკითხი, რომ დომინიონებს ცალკე წარმომადგენლობა ყოლოდა იქ. ბორდენი თავის წინადადებას მით ასაბუთებდა, რომ ომის დროს დომინიონების მიერ გაწეული სამსახური და მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ზოგ მოკავშირეთა მიერ, რომელთაც კონფერენციაზე ცალკე წარმომადგენლობის უფლება ქონდათ. როგორც ვიცით, დომინიონების მოთხოვნას კონფერენციის თავმჯდომარემ, კლემანსომ ენერგიულად დაუჭირა მხარი და მათაც კონფერენციაზე ცალკე წარმომადგენლობის უფლება მიეცათ.

ა. ბარტალაძე.
(დასასრულ იქნება)


ჩ ი ნ ბ ი ყ - მ ა მ ნ ი

შვიდ საუკუნეზე მეტია მას შემდეგ... აზიის ერთ ერთ უდაბნოდან (გობი) გამოვიდა ვინმე მწყემსი-მონადირე, კაცი სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ გულადი, შეებრძოლა განათლებულ კაცობრიობას, მრავალი მეფე დაიმორჩილა და მრავალ ხალხზე გაბატონდა. შედარებით მცირე ხნის განმავლობაში მან ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ ეს გავლენა მისი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს მის შვილს და შვილის-შვილს შევლდა, მათ ტახტს უმავრებდა და დაპყრობილ ეოების მორჩილებას უზრუნველჰყოფდა. ეს კაცი ისტორიაში ჩინგიზ-ყაენის სახელით არის ცნობილი, ხოლო ნამდვილათ მას თემურჯენი ეწოდებოდა.

არავინ იცოდა დანამდვილებით, უცნობ ქვეყნიდან შემოპირილ ჩინგიზ-ყაენი ვინ იყო ან რა მიზანს ემსახურებოდა. იყო იგი ანტიქრისტი, რომელსაც წმ. ყერომის (331-340 წ. წ.) წინასწარმეტყველების უნდა მოყოლოდა აზიიდან, გობის და მცვოლის ქვეყნიდან გამოსულ ჯარი—რასა ბინძური და უწმინდური, რომელიც "არც ღვინოს სვამს, არც მარლის ხმარობს და არც პურით იკვებება"? თუ იგი თათარი იყო ცოდვილ ქრისტიანობის დასასჯელათ ღვთისაგან მოვლინებული, როგორც ამას გერმანიის მეფე ფრიდრიხ მეორე ინგლისის მეფეს ატყობინებდა?

ეს არავინ იცოდა. იცოდნენ მხოლოდ, რომ მის მრისხანე ჯარებს ვერავინ უძლებდა: შეუბრალებლად ყლუტდა ჩინგიზ-ყაენის ლაშქარი მოხუცებს და ბავშვებს, ნამუსს ხდიდა ქალებს, სადაც კი გაივლიდა.

*) იხ. Harold Lamb «Gengis-Khan». 1929.



ლის მოვალეობას ომის საქმეების უმაღლესი ხელმძღვანელობა შეადგენდა. შემდეგ 1917 წელს დაარსდა საიმპერიო სამხედრო კაბინეტი, რომელიც შესდგებოდა ინგლისის მცირე სამხედრო კაბინეტისგან და დომინიონების პირველ მინისტრებისაგან, რომელნიც იმ დროს ლონდონში იმყოფებოდნენ. საიმპერიო სამხედრო კაბინეტის მოვალეობა იყო, რომ ომთან დაკავშირებით მას ესა თუ ის გადაწყვეტილება მიეღო სამხედრო მასშტაბით. უნდა ითქვას, რომ საიმპერიო სამხედრო კაბინეტი არ ყოფილა კაბინეტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რამდენათ ის შესდგებოდა ინგლისის მცირე სამხედრო კაბინეტისაგან და დომინიონთა მთავრობების თავმჯდომარეებისგან. ის უფრო იყო მთავრობათა ვიდრე მინისტრთა კაბინეტი.

თუ წინეთ ინგლისის მთავრობა გაურბოდა დომინიონებთან რაიმე საქმე ქონებოდა და მათი აზრი მოესმინა საიმპერიო საკითხების შესახებ, დიდმა ომმა წამოაყენა ბევრი ისეთი საკითხები, რომლებსაც უღარესად საიმპერიო ხასიათი ქონდა და რომელთა შესახებ დომინიონების და ინგლისის მთავრობათა ერთად თათბირი აუცილებელი შეიქნა.

დომინიონებმა უდიდესი მონაწილეობა მიიღეს უკანასკნელ ომში და უთვალავი იყო მათი მსხვერპლი ამ დროს. ომის უკანა ფრონტის ორგანიზაციით შინ და მამაკუთრი ბრძოლით თვით სამხედრო ფრონტებზე დომინიონებზე მთელი ქვეყანა გააკვირვეს. ცხადი შეიქნა, რომ დომინიონების დაუხმარებლათ ინგლისს ომში გაანადგურებდნენ. ყველამ დაინახა აგრეთვე, რომ დომინიონები ინგლისს არაფერში ჩამორჩნენ უკან და ბევრ რამეში კიდევაც წააჯობეს მას. დომინიონების ინგლისისათვის გაწეული სამსახური და მათი თვალსაჩინო სიმწიფე შესაფერად უნდა დაფასებულიყო. უკვე 1915 წელს კანადის პირველ მინისტრს იწვევენ ინგლისის მთავრობის კრებების დასასწრებლად. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ორი წლის შემდეგ კი სხვა დომინიონების პირველი მინისტრებიც ბჭობენ ინგლისის მთავრობის წევრებთან ერთად საიმპერიო საქმეებზე და ამ მი-

ზნით საიმპერიო სამხედრო კაბინეტიც არსდება.

1917 წელს საიმპერიო კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც კრებაზე კანადის პრემიერმა შეიტანა და რომელსაც უღარესათ კონსტიტუციური ხასიათი ქონდა. ეს რეზოლუცია ამბობდა, რომ ბრიტანეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილთა შორის კონსტიტუციური დამოკიდებულების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანი და რთული საკითხია, რომ მისი ყოველ მხრე გარკვევა ომის დროს იქნას შესაძლებელი. საამისოთ აუცილებელია დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდების შემდეგ მოწვეულ იქნას სპეციალური საიმპერიო კონფერენცია. მაგრამ რეზოლუცია მთავარ იდეას უკვე იძლეოდა და ამბობდა, რომ იმპერიის სხვადასხვა ნაწილთა შორის კონსტიტუციური დამოკიდებულება იმ საფუძველზე უნდა აეგოს, რომ დომინიონები იქნებიან სრულიად ავტონომიური ერთეულები, რომელთაც ექნებათ შესაფერი ხმა საკარგო პოლიტიკაში და საერთაშორისო დამოკიდებულებაში. ზავის ჩამოგდების შემდეგ საიმპერიო სამხედრო კაბინეტი, რომელიც შესდგებოდა ინგლისის მთავრობის ზოგი წევრისაგან, დომინიონების პირველ მინისტრებისაგან და ინდოეთის წარმომადგენელისაგან გადავიდა პირიში ბრიტანეთის იმპერიის მანდატით საზავო კონფერენციაზე.

ვერსალის კონფერენციაზე კანადის პრემიერმა ბორდენმა წამოაყენა საკითხი, რომ დომინიონებს ცალცალკე წარმომადგენლობა ყოლოდა იქ. ბორდენი თავის წინადადებას მით ასაბუთებდა, რომ ომის დროს დომინიონების მიერ გაწეული სამსახური და მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ზოგ მოკავშირეთა მიერ, რომელთაც კონფერენციაზე ცალკე წარმომადგენლობის უფლება ქონდათ. როგორც ვიცით, დომინიონების მოთხოვნას კონფერენციის თავმჯდომარემ, კლემანსომ ენერგიულათ დაუჭირა მხარი და მათაც კონფერენციაზე ცალცალკე წარმომადგენლობის უფლება მიეცათ.

ბ. გარჯალაძე.
(დასასრულ იქნება)

ჩ ი ნ ბ ი ჯ - ქ ა ე ნ ი

შვიდ საუკუნეზე მეტია მას შემდეგ... აზიის ერთ ერთ უდაბნოდან (გობი) გამოვიდა ვინმე მწყემსი-მონადირე, კაცი სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ გულადი, შეებრძოლა განათლებულ კაცობრიობას მრავალი მეფე დაიმორჩილა და მრავალ ხალხზე გაბატონდა. შედარებით მცირე ხნის განმავლობაში მან ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ ეს გავლენა მისი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს მის შვილს და შვილის-შვილს შეეწოდა, მათ ტახტს უმაგრებდა და დაპყრობილ ეოების მორჩილებას უზრუნველყოფდა. ეს კაცი ისტორიაში ჩინგიზ-ყანის სახელით არის ცნობილი, ხოლო ნამდვილათ მას თემურჯანი ეწოდებოდა.


*) იხ. Harold Lamb «Gengis-Khan». 1929.

არავინ იცოდა დანამდვილებით. უცნობ ქვეყნიდან შემოჭრილ ჩინგიზ-ყანი ვინ იყო ან რა მიზანს ემსახურებოდა. იყო იგი ანტიქრისტი, რომელსაც წმ. აგრძობის (331-340 წ. წ.) წინასწარმეტყველებით უნდა მოყოლოდა აზიიდან, გობის და მაგოგის ქვეყნიდან გამოსულ ჯარი—რასა ბინძური და უწმინდური, რომელიც «არც ლეინოს სვამს, არც მარილს ხმარობს და არც პურით იკვებება?» თუ იგი თათარი იყო ცოდვილ ქრისტიანობის დასასჯელათ ღვთისაგან მოვლინებული, როგორც ამას გერმანიის მეფე ფრიდრიხ მეორე ინგლისის მეფეს ატყობინებდა?

ეს არავინ იცოდა. იცოდნენ მხოლოდ, რომ მის მრისხანე ჯარებს ვერაფერ უძლებდა: შეუბრალებლად ყლევდა ჩინგიზ-ყანის ლაშქარი მოხუცებს და ბავშვებს, ნაშუს ხდიდა ქალებს, სადაც კი გაივილია,

შემდეგ, პატრონობენ თავის თავს, წარმოადგენენ მართლა ერს, თუ არა?

ჩინგიზ ყაენიც ისე დაიკარგა, როგორც მისი ურლოები; მისი საფლავი არავენ იცის. იგი 1227 წ. გარდაიცვალა და მისმა ახლობლებმა მისა გვამი ტყეში, ერთ ხის ძირში ჩამარხეს. ერთხანს მის საფლავს მონღოლები საკმეველს უკმევდნ და საპატრიო დარაჯს უყენებდნ. მაგრამ დრო გადიოდა და დროთა განმავლობაში იგი ტყეც, სადაც ჩინგიზ-ყაენის საფლავი იმყოფებოდა, გაიხარდა და გაუდაბურდა, და ამ უდაბურ ტყეში, დაბოლოს მაინც მივიწყებული, დიდი მონღოლის საფლავი უგზო-უკვლოდ და სამუდამოდ დაიკარგა.



ფედერალური სახელმწიფო

ორი რამ ახასიათებს ფედერალურ სახელმწიფოს: ერთის მხრით იგი წააგავს უნიტარულ სახელმწიფოს და მეორეს მხრით წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფოების შეერთებას. იგია ერთი ყოვლის უწინარეს საერთაშორისო თვალსაზრისით—უცხოელ სახელმწიფოებისთვის ის არსებობს მხოლოდ როგორც ერთი სახელმწიფო. შემდეგ არის ერთი ქვეშევრდომობა—ფედერალური და ერთი ტერიტორია—ფედერალური.

ფედერალური სახელმწიფო უნიტარულია იმიტომ, რომ სუვერენობა ეკუთვნის ცენტრალურ სახელმწიფოს. ფედერალური სახელმწიფო თვითონ სახლფრავს თავის კომპეტენციას და აგრეთვე იმ ერთეულების უფლებებს, რომელთაც შეიცავს. თვითონ სწყვეტს, რა შეადგენს მის ხელისუფლებას და რა ეკუთვნის წევრებს. საერთო ინტერესის ფუნქციები ყოველთვის ცენტრალურ მართვლობის ხელშია და მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებია დატოვებული შემადგენელ ნაწილებისთვის.

ცენტრალური სახელმწიფოს სუვერენობის მეორე შედეგი ისაა, რომ ფედერალურ კანონებს შეუძლიათ უარყოფ ადგილობრივი კანონები, როცა მათ შორის უთანხმოებაა. უკანასკნელი ყოველთვის უნდა დაემორჩილოს პირველთ. გარდა ამისა, როცა შეტაკება ბდება ფედერალურ-ცენტრალურ მართვლობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ან ვერ მორიგდებიან თვითონ წევრები ერთმანეთს შორის, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის ფედერალურ მართვლობას. ერთი სიტყვით შემადგენელი ნაწილები ემორჩილებიან ცენტრალურ სახელმწიფოს საკანონმდებლო, საადმინისტრაციო და სამოსამართლო სფეროში.

ცხადია, რომ ეს გარემოება დიდათ სახიფათოა პატარა ერებისთვის, როცა ისინი ფედერალურად შეერთდებიან დიდს ერს. დიდი, უფრო მძლავრი ერი ყოველთვის სჩაგრავს პატარებს ფედერალურ სახელმწიფოში. ამიტომ ფედერალური სახელმწიფო უფრო გამოსადეგია იქ, სადაც ძალთა თანაბრობაა შემავალ ერთა შორის.

ფედერალური თვისება ფედერალური სახელმწი-

ფოსი გამოიხატება იმაში, რომ ნაწილები მონაწილეობას იღებენ ფედერალური ნებისყოფის შედგენაში. ეს მონაწილეობა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირველი ნაკლებად მნიშვნელოვანია: ესაა მონაწილეობა პარლამენტში, სადაც ყოველი წევრი აგზავნის თავის წარმომადგენლებს. ზოგან ყოველი ერთეული წარმომადგენელთა თანასწორ რიცხვს აგზავნის (ამერიკის შტატები, შვეიცარია), ზოგან კი ეს თანაბრობა დაცული არაა (გერმანია, ავსტრია, ს. ს. რ. კ.). უკანასკნელ შემთხვევაში მონაწილეობა პრაქტიკულად განუხორციელებელი რჩება.

არაპირდაპირი მონაწილეობა უფრო ძვირფასია. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ფედერალურ სახელმწიფოს კონსტიტუციის მეცვლა შეუძლებელია წევრების დაუთანხმებლად. ამის მნიშვნელობა ადვილად ვასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ეს კონსტიტუციაა რომ სახლფრავს ცენტრალურ და ადგილობრივ მართვლობათა ფუნქციებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გარანტია არაა მტკიცე, როგორც გერმანიაში, ავსტრიაში და ს. ს. რ. კ.-ში.

და საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ შემადგენელი ნაწილები მეტად სუსტად არიან შეიარაღებულნი ცენტრალურ სახელმწიფოს წინააღმდეგ და უკანასკნელის უფლებები თანდათან იზრდება წევრების უფლებათა ხარჯზე.

რას სწავნენ ბოლშევიკებმა

ინგლისური ჟურნალის «ენსუერისს» რედაქტორი ტილტმენი რუსეთში იყო და ასე გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს: მთელი რუსეთი დღეს შეფარდებულია ხუთწლიანი გეგმისთვის; ამ გეგმამ შთანთქა ყველა სხვა საკითხი და საზრუნავი და გადაიქცა ბოლშევიკების გაჯიკების მთავარ წერტილად. მცხოვრებთა გაჯიკრება წარმოდგენილია. იმ ქვეყანაში, რომელმაც ოთხი წლის შემდეგ თავის მრეწველობით უნდა დაჩრდილოს ევროპა და ამერიკა სტალინის გეგმით, ხალხს დამშეულის სახე აქვს და ნახევრად შიშველია. «რუსეთმა თუ უცხოეთში კრედიტი მოიპოვა, მთელ ამ ფულს თავის წარმოების განვითარებას მოახმარს და ერთი კაპეიკისას არაფერს შეიტანს გარედან მცხოვრებთა დასახმარებლად.» კერძოდ პეტერბურგის შესახებ ამას გვიამბობს ინგლისელი ჟურნალისტი: «ყველგან კუდებია, პაპიროსებისთვისაც კი. კოლპერატეივების კარებთან მკვიდრნი მოთმინებით ღვანან კალათებით ხელში. სამი საათის შემდეგ რომ გამოვიარე, ხალხი ისევ ისე იდგა და უცდიდა. ფქვოს, ხილს, ბოსტნეულს, ტანსაცმელს, საპონს, ერბო-კარაქს და მარგარინს იძლევიან მხოლოდ ბავშვებისთვის და ისიც მეტად მცირე რაოდენობით და მხოლოდ ზოგიერთ დღებში. ყველაფერს იტაცებენ რამდენიმე წუთის განმავლობაში და ბევრს სრულებით არაფერი ხვდება. ამავე დროს რუსეთის კარაქით, კვერცხით და სხვა სურსათით დატვირთული გემები ლონდონისკენ მიემგზავ-



რებიან». დასასრულ ტილტმენი სწერს: ხუთწლიანი გეგმა ისტორიაში გაუგონარი თამაშია. სათამაშოთ დასმულია რუსის ხალხის კეთილდღეობა და თვით სიღრმისეული, თუ ბოლშევიკებმა წააგეს, მოხდება კატასტროფა, რომლის მსგავსი ისტორიას არაფერი ახსოვს.

გაზ. «დეილ ტელ.»-ის ბერლინელი კორესპონდენტი ესაუბრა ერთს უცხოელს, რომელიც საპასუხისმგებლო ადგილზე მსახურობდა რუსეთში და რომელმაც ასე დაახასიათა ბოლშევიკების მუშაობა: საბჭოების საინდუსტრიალიზაციო განზრახვები ცარიელი ზღაპარია. რუსეთს არ მოეპოვება ელემენტარული პირობები ძლიერი მრეწველობის განსავითარებლად. ბოლშევიკები ბევრს ლაპარაკობენ მექანიზაციის შესახებ, მაგრამ საქმე მარტო ლაპარაკით თავდება: გეგმის განხორციელებას როგორც კი შეუდგებიან, საქმე მყისვე იფუშება, რადგან არავითარი პრაქტიკული გამოცდილება არა აქვთ. ხუთწლიანი გეგმა—უმწიფარი გონების ნაყოფია. ყველაზე ნაკლებად განსახორციელებელია იგი რუსეთში. ბოლშევიკები ისე თამაშობენ ამ გეგმით, როგორც ბავში ასლი რაიმე სათამაშოთი. ამენებენ ქარხნებს, ყიდულობენ მანქანებს, მაგრამ არ იციან მათი გამოყენება. საბჭოებმა მრავალი უცხოელი აიყვანეს სამსახურში, ხოლო აქაც მათი უუნარობა გამოაშკარავდა: ათას ამერიკულ ტექნიკოსში უმეტესობა სრულიად გამოუსადეგარია. ბოლშევიკები ტრამპობენ: ჩვენში უმუშევრობა არ არის. ეს გასაკვირი როდია: რასაც ამერიკაში ერთი კაცი აკეთებს, იმას რუსეთში 10-15 კაცი უნდება.

მიუხედავად ეკონომიური გაჭირვებისა ბოლშევიკები თავისებურად ემზადებიან საგარეო ავანტიურებისთვის. ამას წინად მოსკოვში დამთავრდა მუშაობა რუსეთ-გერმანიის შერეულ კომისიისა სხვა და სხვა ეკონომიური საკითხების მოსაწესრიგებლად. ფრანგული გაზ. «ენტრას.» ფიქრობს, რომ კომისიის მთავარი სამუშაო იყო რუსეთ-გერმანიის სამხედრო თანამშრომლობა, პოლონეთის საკითხი, დანციგის საკითხი და სხ. ვახეთის ბერლინელი კორესპონდენტი ემყარება კომისიის ერთ-ერთ მონაწილის საუბარს და ფიქრობს, რომ გერმანიაში დღესაც გაბატონებულია ის შეხედულება, რომ გერმანელებისთვის ძვირფასია შეთანხმება საბჭოებთან. გერმანელები ამბობენ: დასავლეთის საკითხში იუნგის გეგმამ დიდი სარგებლობა მოგვიტანა და მის შემწევობით ჩვენ გადავჭერით ჩვენი უმწვეველი საკითხები, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთს, აქ ჩვენ გეჭირია თანამშრომლობა რუსეთთანაო—თანამშრომლობა სამხედრო. გერმანელების ასეთს მიდრეკილებას სიხარულით ეგებებიან ბოლშევიკები თავის საკუთარ მიზნების განსახორციელებლად. თუმცა წითელი ჯარი დიდს ღირებულებას არ წარმოადგენს თავის თავად, მაგრამ ბოლშევიკები იარაღდებიან განუწყვეტილ და ამზადებენ ომისთვის სურსათს. ჯარის ხელმძღვანე-

ლებს საეკოთ არ მიაჩნიათ, რომ ომი აუცილებელია და როცა ბჭოვთ, თუ ვინ იქნება მათი მტრების პირველ რიგში, ყოველთვის ასახილებენ პოლონეთს, რომელთანაც ომს აძლევენ დიდს მნიშვნელობას რევოლუციონურ შესაძლებლობათა თვალსაზრისით.

**ქაქუცა ჩოლოყაშვილის
გაგადაცვალების გამო**

«ხარბინის ქართველთა შორის ურთიერთი დამხმარე საზოგადოების გამგეობა გამოსთქვამს უღრმეს მწუხარებას საქართველოს თავისუფლებისათვის თავგადადებული მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადაცვალების გამო. გატანჯულ სამშობლოს კიდევ გამოეცალა ერთი უერთგულესი შვილითაგანი, რომელმაც გასაოცარი სიმამაცით იბრძოლა რამოდენიმე წელი ვერავი მტრის წინააღმდეგ და კვლავ შემოსა უკვდავების შარავანდელით ქართველთა მებრძოლი სული.

აღტყინებული სამშობლოსადმი უმწიკვლო სიყვარულით, ის ვერ ურიგდება წითელ მტარვალთა ძალადობას და მის ბრძოლის ყიჟინას უერთდებიან სამშობლოს ერთგულნი შვილნი. არაერთჯერ და ორჯერ სმენია შორეულ აღმოსავლეთის ქართველობას მისი განთქმული ბრძოლის ამბები. რა სიამით იესებოდა მაშინ ჩვენი გული და გამოუთქმელი სიხარულით შევეყურებდით მომავალს. მაგრამ ეხლა?.. აღარ გვყავს ჩვენი ქაქუცა მტრის თავზარდაძევი, უცხო მხარეს გაუთხარეს მას საფლავი და რაინდმა თან ჩაიტანა მტრის სიძულვილი, სამშობლოსადმი სიყვარული და ერთი მუჟა მშობელი მიწისა.

გარინდული დგანან მხედრები მისი საფლავის წინაშე, მათი ფარ-შუბნი აღარ ელავენ, მაგრამ რისხვით აღვსილნი მოუთმენლად ელიან: როდის აღასრულონ წმიდა ფიცი «ან სიკვდილი სამშობლოსათვის ან გამარჯვება».

განისვენე მყუდრო საფლავში, დაუვიწყარო გმირო ქაქუც! დეე შენგან ომში ნაწილობა მხედრებმა კვლავ აიმაღლან ფარ-შუბნი მტრის შესამუსრად და განაწამებ სამშობლოზე ააფრიალან ძღვეის დროები.»

ხარბინის ქართველთა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოების გამგეობის დავალებით მდივანი ასკვლედიანი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი
(გაზეთებიდან)

ლაგოდენიდან იტყობინებიან, რომ ივლისის 20 ვილაცებმა ცეცხლი წაუკიდეს ს. გურგენიანის კოლექტივის მომკილ ძნებს, რომლებიც ერთიან დაიწვა.

— გამოვიდა განკარგულება, რომელიც უკრძალავს კერძო პირთ, მათ შორის გლეხებსაც, შემოზიდონ და შემოიტანონ ტფილისში საუპანო საშუალებით 5 ფუთზე მეტი ხორბალი და ქერი, როგორც თავის საპირობებისთვის ისე გასაყიდად.

— რკინის გზებზე სამგზავრო ტარიფი გადადიდ-
და ოცდახუთი პროცენტით.

— «სატრანსპორტო და განმანაწილებელმა და-
მამზადებელმა ორგანიზაციებმა ჩამალეს საზაფხუ-
ლო ბალ ბოსტნეულის დამზადების კამპანია. მომ-
ხმარებელს ხილი და ბოსტნეული ვერ მიწვდა. მეტი
წილი დალბა და ახლაც ღვება». მოსალდენელია,
რომ საპირო საწყობების გამო, საზამთრო ბოსტნე-
ულის მეტი ნაწილი გაფუჭდება».

— ტფილისში კვრძო ბაზარზე ზოგარიტი ბოსტ-
ნეულის ფასი 50 პროცენტით ნაკლებია იმ ფასებზე,
რომლებითაც ადგილებზე «დამზადება» სწარმოებს
ა. კ. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-
ტივის შიგრ.

— ხდება საქართველოს ახალი საადმინისტრა-
ციო დანაწილება—დაწესდება სასოფლო ერთეული
და რაიონი: არ იქნება არც ოლქი და არც მაზრა.

— ტფილისში გავრთიანდა ქართული ქიმიური
და რუსული ქიმიური ტენიკუმები. გავრთიანებულ
ტენიკუმში სწავლება იწარმოება ქართულად და
რუსულად.

ს ა ბ ზ რ თ ა რ უ ს ე თ შ ი

(ქურნალ-ზაზკეთებიდან)

მოსკოვიდან ცნობაა, რომ ფინანსური კრიზისი
კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს. ფინანსთა კო-
მისარიატი საგანგებო ზომებს იღებს, რომ საშინაო
სახელმწიფო სესხზე ხელის მომწერთა რიცხვი რაც
შეიძლება მეტი იქნეს. «პრავდას» ცნობით, 200.000
კაცია საპროპაგანდოთ დაგზავნილი სხვადასხვა კუ-
თხეებში. პურის კარტები არ მიეცემა მათ, ვინც ია-
ბლიგაციებს არ შეიძენს.

— გაზ. «ახალი სკოლა» ში მოთავსებულია ლე-
ნინის ჟერივის კრუჰსკაიას წერილი უპატრონო ბავ-
შების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ კულაკების
ქუჩაში გამოყრით. ქუჩაშივე მათთან ერთად გამოი-
ყარა აუარებელი ბავშვები: ბევრი ამ ბავშვებთაგანი
კულაკების შვილებია, მაგრამ მათში ბევრია ბატ-
რაკთა შვილებიც, რომლებიც კულაკებს დაქირა-
ვებული ყავდათ. დღეს უსენიც ულუკმაპუროთ
და უბინოთ არიან და მათ ყურადღება უნდა მიექ-
ცეს.

— ტერორი მუდამ მძვინვარებდა და მძვინვარებს
რუსეთში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში საშინელი სა-
სტიკი ხასიათი მიიღო. ეს სჩანს თვით საბჭოთა გა-
ზეთებიდან. საინტერესოა მოტივები, თუ რისთვის
შეიძლება სიკვდილი მიესაჯოს საბჭოების «მოქა-
ლაქს». მაგ. «კრასნაია ვაზეტ» ცნობით დახვრიტეს
კრასნოიარსკში, გეპუუს დადგენილებით, ვინმე ან-
ტონოვი და ოთხი მისი თანაშემწე, რადგან მათ არ
აასრულეს ცენტრის დირექტივები საქონლის გაყი-
დვის შესახებ.

— განათლების კომისარიატმა ცირკულარი და-
გზავნა, სადაც ვეალება ყველა მასწავლებლებს კომუ-
ნისტური და ანტირელიგიური პრაპაგანდა მოსწავ-

ლე ახალგაზობაში. ვინც ცირკულარს არ შეასრუ-
ლებს დაუყონებლივ იქნება დათხოვნილი და მიცე-
მული პასუხისგებაში.

— თუ რა მორალური ატმოსფეროა რუსეთში
დღეს ამის დასახასიათებლათ საინტერესოა «კრას-
ნაია ვაზეტას» ცნობა. ვაზეთი (ვაშლის მოსკოვში)
იტყობინება, რომ კურსკში ხმებია გავრცელებული,
რომ გეპეუმ ბრძანება მიიღო მოსკოვიდან, რადგან
ქონი არ იშოვება. — შეიპყრონ ყველა ბავშვები, და-
ხოცონ და დაგზავნონ სახის ქარხნებში. ამ ხმებმა
ისეთი პანიკა გამოიწვიეს ქალაქში, რომ სკოლები
სულ დაიხურა ბავშვების გამოუცხადებლობის გამო.
გეპეუ შეუდგა დამნაშავეთა ქერას. ამ გარემოებამ
კიდევ უფრო გააძლიერა პანიკა.

— «პრავდა» ძლიერ ცუდ გუნებაზეა: სანოვაციის
საქმე ეხლა ცუდათაა. მომავალი კი სულ ბნელია.
ვაზეთის ცნობით, ვათვალისწინებული რაოდენობის
მეთოდსაც კი არ იძლევა მოსვალით არ არის
მეშა საქონელი და არც საპირო სამუშაო მანქა-
ნები.

— ცხოვრება მოსკოვში და პეტროგრადში თან-
დათან უახლოვდება «სამხედრო კომუნიზმის» დრო-
ის მდგომარეობას. საქონელი დღითი დღე ძვირდება.
ვერცხლის ფული სულ გაქრა. გლეხები უარს ამბო-
ბენ ქალაქის ფულზე საქონლის გაყიდვას. პრიმი-
ტიული გაცვლა-გამოცვლა საქონლის თანდათან
იკიდებს ფეხს. გეპეუ სალოვკით ემუქრება იმათ,
ვინც გადამაღავს ვერცხლის ფულს. მუქარამ ვერა-
ვითარი შედეგი გამოიღო.

— გენერალურმა პროკურორმა ცირკულიარი
დაუგზავნა ადგილობრივ ტრიბუნალთა თავმჯდომეა-
რეთ, სადაც აქცევს მათ ყურადღებას იმ გარემოებას,
რომ საკატორლო სამუშაოზე მისულითა შორის ბე-
ვრია ორსული ქალები, ვადამყოფები, ღრმა მოხუ-
ცებულები. ამათ მუშაობა არ შეუძლიათ. მათი გა-
დაგზავნ-გადმოგზავნა კი ხარჯებს ითხოვს: ამი-
ტომ პროკურორის ახრით. უმჯობესია ასეთი პი-
რები გადაგზავნილი იქნან ცენტრალურ სატუსალო-
ვებში.

— ანტირელიგიური ტერორი გრძელდება. უკა-
ნასკნელ ხანებში სისასტიკემ არაჩვეულებრივი ხასი-
ათი მიიღო.



ქართული ბიბლიოთეკა პარიზში

ქართველ კათოლიკეთა საზოგადოებამ ივლისის
6 ვახსნა პარიზში ქართული წიგნთსაცავი.

ბიბლიოთეკის გამგეობა სთხოვს ქართველ საზო-
გადოებას მიაწოდონ ბიბლიოთეკას ქართული წიგ-
ნები, ყურნალ-ზაზკეთები და სხვა გამოცემები.

მისამართი:

Bibliothèque des Géorgiens,

5, Villa d'Orleans (67, avenue d'Orleans).

Paris (14)



უკრაინელთა შორის

ხარკოვიდან იტყობინებიან, რომ დონეცის რაიონში მუშების დიდ მანიფესტაციას ქონდა ადგილი. მუშებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა და გამოვიდნენ ქუჩებში ხელისუფლების საწინააღმდეგოთქმაცუფილების მიზნები მიმართა.

— ხარკოვის «კომუნისტის» ცნობით, უკრაინის მთავრობამ გადასწყვიტა კიევის სამეცნიერო აკადემიის საბოლოო «პროლეტარიზაცია», სადაც, მიუხედავად მრავალი «ჩისტისისა», კიდევ ბევრი ნაციონალისტური ელემენტებია. სპეციალური სარევიზიო კომისია უკვე გაიგზავნა კიევში.

— უკრაინის იუსტიციის მინისტრმა ცირკულირული წინადადება მისცა ადგილობრივ ტრიბუნალებს — გაამართლონ განსაზღვრულ დანაშაულობისათვის ის პირები, რომლებიც კოლხონში შევლენ წევრებათ.

— უკრაინაში მოსწავლე ახალგაზდობაში ანტიკომუნისტური პროპაგანდა თანდათან ძლიერდება. არის შემთხვევები კომინისტურ წიგნების და ბოლშევიკურ შეფების სურათების დახვევის მოწაფეების მიერ. რომ ბოლო მოუღონ ამ მდგომარეობას, მოსკოვის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს უკრაინის განათლების კომისარიატის მოსპობა და უკრაინის სკოლების უშუალო დამორჩილება მოსკოვისათვის.

— გლეხები მარილს იმარაგებენ და ამის გამო მარილის შოვნა უკრაინაში ძლიერ ძნელია. მოელიან ზამთარში დიდ შიმშილობას და გლეხები მართლაც ფიქრობენ პურის შეძენას.

წერილი რედაქციის მიმართ *

«დ-ს»-ს მე-55 ნომერში მოთავსებულ ჩემს წერილს—«სტამბულის სავანის ავკარგი»—მეტისმეტად უწყენინებია მონასტრის აღმინისტრაციისათვის. მამა წინამძღვარს დაუვალეობა მდ. შალვა ვარდიისათვის ჩემი მოკითხვა წერილობით, თუმცა მე მერჩივნა, რომ პასუხი ჩემს წერილზე იმავ «დამოუკიდებელ საქართველო»-ში ამომეკითხა. ეხლაკი ახირებულ მდგომარეობაში ვიმყოფები: მონასტრის უშველებელი. თანაც ულაზათით შედგენილი წერილის გამოქვეყნება არ შემოიძლიან, ავქსონიკი დაეინებით მოითხოვს, რომ «დამ. საქ.»-ს უახლოეს ხომერში ჩემი თავი გაბრძოვებულათ გამოვაცხადო.

უნდა გამოვიტყდეთ, რომ კონსტანტინეპოლი

*) ჩვენ დღეს პატივს ვსცემთ კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მოღვაწეობას და არ დაგვავიწყდება ის მზრუნველობაც, რომელიც გამოიჩინა სავანემ ქართველ ლტოლვილებისათვის. ჩვენ თუ ბ. ინგილოს წერილი დავბეჭდეთ, მხოლოდ მონასტრის და საერთოდ ქართული საქმის ინტერესებით ვხელმძღვანელობდით. სიამოვნებით მოვითავსებთ მონასტრის აღმინისტრაციის წერილს ბ. ინგილოს საპასუხოდ, თუ ასეთს მოგვავწყდის.

რედაქცია.

თვლით არ მინახავს აროდეს და არცერთ იქაურ ქართველ ბერს ვიცნობ. გარდა მონასტრის ყოფილ წინამძღვრის—უკვე სამი წელიწადი «სლოლოვკაში» გადაკარგულ—შიო ბათმანაშვილისა, რომელთანაც ერთად მთელი წელიწადი მიცხოვრია ავსტრიაში, გარდა მონასტრის, როგორც ქართული დაწესებულების, ცხოვრებას მუდამ ვადევნებდი თვალყურს.

მისაყვედურებენ, რომ მათ შინაურ (sic!) საქმეებში გავვრები. თანაც, თურმე ნუ იტყვიან, ფაქტიური მდგომარეობის სრული უცოდინარობა გამომიჩენია, მონაზონთა მხარეზე დავმდგარვარ და ამით მონასტრისათვის უდიდესი შეურაცხყოფა მიმიყენებია!

არ მეგონა, რომ ამ საგანზე ხელმეორეთ მომიხედებოდა ხელში კალმის აღება, მაგრამ, როგორც ვთქვი, ამას კერპათ მოითხოვენ, თანაც სასამართლოთი მემუქრებიან, ამიტომ ჩემს თავს ორიოდ სიტყვის თქმის ნებას ვაძლევ. შალვა ვარდიძე თავის წერილში ერთ პასხრს ხაზგასმით აღნიშნავს, სახელდობრ იმას, რომ მონასტერს ქართველი საქმისა და ხალხისადმი ღვაწლი უდევს,—ვის უარპყოფს ამას? განა ჩემს წერილში ეს აღნიშნული არ არის?! მაგრამ ღვაწლითმოსილობა ერთს სფეროში ვის არგუნებს გარანტიას, რომ მეორე სფეროში ნაკლი არ აღოაჩნდეს; და თუ მე მეორის თაობაზე უფრო ვრცლად ვიმასლაათე, სწორეთ იმითომ, რომ თემა წერილისა განსაკუთრებულათ ამ ამბავს ეხებოდა. უარყოფითი მხარეები კი მონასტერში ბევრი ყოფილა, როგორც ამას, ჩემი ცნობების გარდა, მონასტრის ოფიციალი კორესპონდენტიც მაწვდის: მე თურმე აღმინიშნავს მხოლოდ ერთი მხარე, ისიც სულ უქანასკნელი დროისა, კირიკი «არ ახალია, ძველია». რაში შევმცდარვარ? სად არის ის პრფოკაციის ქსელი, რომელშიაც მე, მონასტრის განმარტების მიხედვით, ვაგბმულვარ? მთელი საქმე ყოფილა ამბავთა ჩემმიერ ცალმხრივი გაშუქებაში, ერთგვარ მიკერძოებაში; რატომ: errare humanum est! მართალია: წვრილმანობას ჩემს წერილში არ მივდიე—ვის აინტერესებს?! მაგრამ მონასტრის «შინაურ საქმეებში» ჩემს თავს ნება მივეცი ჩავრეულიყავი სახოგადოებრივი მოსახრებით. რადგანაც ქართული სავანე, ვფიქრობ, დაწესებულებაა, და არა კერძო ოჯახი! შ. ვარდიძე მარწმუნებს, რომ მამათა ნაწილში ყოველისფერი თავთავის წესება,—უწესობებისა და მფოთის ორმო დედათა ნაწილია. მაგრამ ჩემი სიტყვაც ხომ აქ არის, მამაო! ჰხედავთ, თქვენ თვითონ მიდასტურებთ, რომ მონასტერში ყველაფერი წესზე არ არის დალაგებული, რომ ამისა გამო უცხოელები დაგვცინიან, ხოლო ვისაც ძალუძს, ბანკროტათ გვაცხადებენ! თქვენ ხომ თვითონ მწერთ, რომ ორი უცხოელი «სლოური» პაპის მიერ არიან გამოგზავნილნი მონაზონებისათვის «ქუეის სასწავლებლათ» და კიდევ იმასაც მიმატებთ, რომ მამული მონაზონებს არ მიუქერიან, ვინაიდგან იცოდით, რომ იგი «უცხოეთა ხელში ვადავციდოდა!» გამოირკვეკი უფრო ცუდი რამ, რაიცა სახელ-იწოდების პირდაპირ სასირცხვო მოვლენათ: თურმე მონაზონებს თავადვე გამოუმქლავნებიათ თავისი არარაობა,



თუ კი მართალია, რომ 1904 წლიდან უარი უთქვამთ საზოგადოთ ყოველი ქართველისაგან («Non mi fa sentire del georgiano e del rito georgiano») და აკრძალულიცაა ჰქონიათ თვის თავის ქართველად გამოცხადება! ეს ყველა ერთად—აღებულნი იმის მაჩვენებელია, რომ ქართული კალამი სავანის ავკარგის აღსაწესნათ ერთობ გვიან აღებულა. ხელში და ამბებიც მკრთალად აღუწერია!

მონასტერი მიჯავრდება იმისა გამო, რომ რომში ვცხოვრობ და ვატიკანსკი ვებრძვი! არ ვიცი, რომელ მისანს უცნობებია მათთვის ჩემი უმძარხობა პაპის ტახტისადმი, ან რათ დასპირდათ ასეთი complexio oppositorum, ჩემი წერილი კი ამისი მთხრობელი სულაც არ არის! ჩემი ვიტიკევი, რაკი სიტყვამ მოიტანა, რომ მე არავის ვებრძვი განუკითხავათ, მე მხოლოდ ვიბრძვი ჩემი შეთოკილი სამშობლოს ხსნისა და წარმატებისათვის და შეგებრძოლები ყველას. ვინც გზახე გამამეჩნიოესა, გარნა ამ შემთხვევაში ვატიკანი არც არაფერ შუაშია.— უნდა ვიფიქროთ, რომ სტამბულის სავანითა და მონასტრის მარგოტით არ ამოიწურება პანტიფიკალური სამფლობელი. იქნა მათი ელთრობითი წილი რაც ითქვა საკმარისია: მონასტრის განმარტებამ ზოგი ახალი გარემოებანი აღნიშნა, ხოლო მთავარი ჩემი დებულება გაამართლა... აი სწორეთ ის შოთა, რომლის ციტატებით სავსე არის სავანის წერილი. ამბობს (სახარების მიხედვით): «ბოლოდ ყოველი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს».

დაგვანახვით, ბატონებო, რა ხდება დაწესებულებაში, რომელიც ქართულს სახელს ატარებს! ოცდაექვსი წელიწადი გრძელდება ურიგო მდგომარეობა და ერთხელაც არ მოვისურვებიათ ამისი მოწესრიგება, თვინიერ უცხოთა რევიზიისა! ვისი ბრალია, რომ ზღუდენი ცამდისაა ატყორცნილი და მათზე ფოფხით აცოცებულს გარეშე მეთვალყურეს ზოგი რამ ვერ მოჰხვედრია თვალის ისარში...

მონასტრის ერთ ნაწილს ქართული სახელი ეშლება. იქ აშკამად უკვე უცხოელები დაფარფაშებენ! ამას არ უნდა გამოიწვიო ჩვენი გულის ტკივილი! ეს არ უნდა გვეცნობებია ქართველი საზოგადოებისათვის! რ. ინგილა.

III.

ტუბ. ავთმყოფ ქარ. დამხმარე კომიტეტი უღრმეს მადლობას უძღვნის ძვირფასს თანამემამულეთ ამ დანმარებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომარე: ელ. აფხაზისა.
მდივანი-მოლარე: ექ. ე. დეკანაძე.

III.

პატივცემულ ბატონო რედაქტორო, ტუბერკულოზით ავთმყოფ ქარ. დამხ. კომიტეტმა მიიღო ქ. პრაღიდან ბ.ნ. ემ. ლომთათიძისაგან 393 ფრ. 33 სანტ. (531 კრონა). ეს თანხა შემოსულა ადგილობრივ წევრებისაგან ამ წლის მარტ ივლისში. უმბორჩილესად გთხოვთ შეძლება მოგვცეთ გულითადი მადლობა განვუცხადოთ თანაგრძობა-დახმარებისათვის.

კომიტეტის თავმჯდომარე: ელ. აფხაზისა.
მდივანი-მოლარე: ექ. ე. დეკანაძე.



დაისტამბა და გიმოიცა სელდენებისა და მეგნიეტების კრებულა: „კ ა შ კ ა ს ი ო ნ ი“

წიგნი მეოთხე
შინაარსი: რეა ამონი—სადა ხარ? მხეო, მხეო! გ. ნაილი—დღიურიდან: დედას; გიორგი ყიფიანი—ჩემი მხარე; ერის მარია რემარკ—დასავლეთ. ახალი არაფერია; რაღფი—ჩემს კუთხეს, ქარი მხალი; სტეფანე კასრადე—პოემა ძმობის შესახებ; ვლასა მგელაძე—ცხრათვალა მხე; გ. ნაცვლიშვილი—მთიან საფრანგეთში; ბ. ბებურიშვილი—ქალწულს; დ. ლალიშვილი—ცხოვრების ტალღებში; ო. შუშანიანი—ვერიკო სოსანი—ძველი ქართული მწერლობა; ი. მანწკავა—ნიკო გერგესელი; შალვა ამირეჯიბი—ადამიანები და საქმენი.

ქართველ მწერალთა გამოცემა.
სარედაქციო კოლეგია.

მისამართი:
V. N O Z A D Z E
48, rue de Bagnaux, sceaux (Seine) France.

შეცდომის გახწვრება.
«დამ. საქ.» წინა ნომერში «საქართველოს ამბებში» დაბეჭდილია რომ ტფილისში «1929 წელს იყო ქართველი 112.206, სომეხი 100.148 და რუსი 45937». უნდა იყოს: 1926 წელს.

«დამ. საქ.» მე-55 ნომერში დაბეჭდილ შემოწირულებათა სიაში ოდენკურიდან შეცდომით დაბეჭდილია: მ. შარაბიძე უნდა იყოს მ. ბარაბიძე. კ. დოლიძემ უნდა იყოს ვ. დოლიძემ.

დასაბეჭდი წერილები, ცული და სხვა უნდა გამოდგანდეს შემდეგი მისამართით:
Mr O U R A T A D Z E
10, rue Jules-Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France